ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

IRC
Innovations and reforms Center

პროექტი „საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის სისტემის შემუშავება“
Project “Creation of PAR Monitoring System”

ბიუჯეტირების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა

მეთოდური მითითებები

ნინო ლოლაძე
ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
2 დავით გამრეკელის ქ. 0194, თბილისი, საქართველო

Table of Contents

შეფასების მეთოდოლოგია ***3***

მიმართულება 1: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება..... 6

- ✓ **აქტივობა 1.1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე მერის ბრძანება** 6
- ✓ **აქტივობა 1.2. პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადება**..... 10
- ✓ **აქტივობა 1.3. - პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვერსია**..... 11
- ✓ **აქტივობა 1.4. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენა**..... 14

მიმართულება 2: საზოგადოების მონაწილეობა პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში..... 18

აქტივობა 2.1. მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებისა და სხვა დამატებითი ფორმების დანერგვა 18

- ✓ **აქტივობა 2.2. მოქალაქეთა გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით**..... 22
- ✓ **აქტივობა 2.3. მოსახლეობის აზრის კვლევა ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით**..... 24
- ✓ **აქტივობა 2.4. ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქეთა მიერ ელექტრონულად წინადადების წარდგენის სისტემა** 25
- ✓ **აქტივობა 2.5. მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ჩატარება მერიის თანამშრომლებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობით პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით**..... 26

✓ **აქტივობა 2.7. მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვა 29**

- ✓ **აქტივობა 2.8. მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო**..... 31
- ✓ **აქტივობა 2.9. მოწყვლადი ჯგუფების მრჩეველთა საბჭო**..... 33
- ✓ **აქტივობა 2.10. საბიუჯეტო პრიორიტეტების მიხედვით თემატური საჯარო განხილვების ჩატარება** 34

მიმართულება 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში განხილვა და დამტკიცება..... 36

- ✓ **აქტივობა 3.1. ბიუჯეტის პროექტის საჯარო გამოქვეყნება** 36
- ✓ **აქტივობა 3.2. მოქალაქის გზამკვლევი** 37
- ✓ **აქტივობა 3.3. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ორგანიზება**..... 39
- ✓ **აქტივობა 3.4. ბიუჯეტის საჯარო განხილვა**..... 40
- ✓ **აქტივობა 3.5. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნების მომზადება** 41
- ✓ **აქტივობა 3.6. საკრებულოს კომისიებში ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოქალაქეთა მონაწილეობა** 43
- ✓ **აქტივობა 3.7. საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოქალაქეთა მონაწილეობა** 44
- ✓ **აქტივობა 3.8. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში მოქალაქეთა წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება**..... 45
- ✓ **აქტივობა 3.9. ბიუჯეტის დამტკიცება** 45

მიმართულება 4. ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება ***47***

- ✓ აქტივობა 4.1. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა 47
- ✓ აქტივობა 4.2. ბიუჯეტის კვარტალური შესრულება 48
- ✓ აქტივობა 4.3. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში 49
- ✓ აქტივობა 4.4. მერის მიერ მოქალაქეთათვის ანგარიშის ჩაბარება 52
- ✓ აქტივობა 4.5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ბიუჯეტის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაზე რეაგირება 54

საბიუჯეტო პროცესის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი ფინანსური დოკუმენტები ***55***

- ❖ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი **56**
- ❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი **56**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი ***59***

შეფასების მეთოდოლოგია

საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ინდექსი შედგება 4 ბლოკისგან და შემდეგ 4 მიმართულებას მოიცავს:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება;
2. საზოგადოების მონაწილეობა პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში;
3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში განხილვა და დამტკიცება;
4. ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება.

თითოეულ მიმართულებას გააჩნია შესაბამისი აქტივობები, ხოლო აქტივობებს კი თავისი კრიტერიუმები. მიმართულებების მიხედვით განსხვავებულია აქტივობების რაოდენობა. თავის მხრივ, თითოეულ აქტივობას თავისი შინაარსისა და მასშტაბის მიხედვით განსხვავებული რაოდენობისა და მნიშვნელობის კრიტერიუმები გააჩნია. კრიტერიუმები არის შემდეგი სახის:

არსებობა: კრიტერიუმით ფასდება არის თუ არა დანერგილი მუნიციპალიტეტში კონკრეტული საქმიანობა;

დროულობა: ამ კრიტერიუმით ფასდება საბიუჯეტო პროცესში გარკვეული აქტივობა ხორციელდება თუ არა კანონით მოთხოვნილ ვადებში. ასევე საზოგადოებისთვის საკმარისი დროა თუ არა მიცემული საბიუჯეტო პროცესში წინადადებების წარდგენისთვის;

სისრულე: ამ კრიტერიუმით ფასდება რამდენად სრულყოფილად არის ინფორმაცია წარმოდგენილი;

ინფორმირებულობა: ამ კრიტერიუმით ფასდება რამდენად აქვს მოსახლეობას ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესში მათი ჩართულობის შესახებ, რა ფორმები იქნება გამოყენებული და როდის;

გამჭვირვალობა/საჯაროობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის; (საბიუჯეტო კოდექსი)

ხელმისაწვდომობა - საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა სრული ფისკალური ინფორმაციისა და ყველა სხვა შესაბამისი მონაცემის გავრცელების გზით, იმგვარი ფორმატებისა და მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომი, მარტივად გასაგები და გამოსაყენებელია, ასევე ექვემდებარება მრავალჯერად გამოყენებასა და ტრანსფორმირებას, კერძოდ ღია მონაცემთა ფორმატებში.

ჩართულობა - რამდენად არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ჩართულობა პროცესში;

ანგარიშვალდებულება - საჯარო სამსახურის მიერ საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად გამოკვეთილი საკითხების თაობაზე ანაგარიშის მომზადება და

ბიუჯეტში მისი გათვალისწინება/არ გათვალისწინების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება;

კრიტერიუმებს გააჩნია შეფასების ინდიკატორები და ფასდება 0-დან 3 ქულამდე, რაც კრიტერიუმის შესრულების ხარისხობრივი მაჩვენებელია:

- ✓ 3 ქულა - მაღალი ხარისხი;
- ✓ 2 ქულა - საშუალო ხარისხი;
- ✓ 1 ქულა - დაბალი ხარისხი;
- ✓ 0 ქულა - ხარისხის არარსებობა.

განსხვავებულია კრიტირიუმების ინდიკატორების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ყველა კრიტირიუმს აუცილებლად აქვს მაღალი ხარისხის ინდიკატორი, რომელიც 3 ქულით ფასდება, ხოლო საშუალო, დაბალი ან ხარისხის არქონის ინდიკატორები აქვს იმის მიხედვით, როგორია თავად კრიტირიუმის მნიშვნელობა და შინაარსი.

ერთი აქტივობის ფარგლებში არსებული კრიტერიუმის ხარისხობრივი ინდიკატორების ქულათა ჯამი არის აქტივობის ქულა, ხოლო ერთი მიმართულების ფარგლებში არსებული აქტივობების ჯამი არის მიმართულების პირველადი ქულა.

შესაბამისად, მიმართულების მიხედვით განსხვავდება პირველადი ქულები.

მიმართულება 1: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება:

- ✓ მოიცავს 4 აქტივობას, რომელიც 16 კრიტერიუმს აერთიანებს;
- ✓ 1-ელი მიმართულების პირველადი უმაღლესი ქულა არის 48;

მიმართულება 2: საზოგადოების მონაწილეობა პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში:

- ✓ მოიცავს 10 აქტივობას, რომელიც 46 კრიტერიუმს აერთიანებს;
- ✓ მე-2 მიმართულების პირველადი უმაღლესი ქულა არის 138;

მიმართულება 3: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში განხილვა და დამტკიცება.

- ✓ მოიცავს 9 აქტივობას, რომელიც 31 კრიტერიუმს აერთიანებს;
- ✓ მე-3 მიმართულების პირველადი უმაღლესი ქულა არის 93;

მიმართულება 4: ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება.

- ✓ მოიცავს 5 აქტივობას, რომელიც 23 კრიტერიუმს აერთიანებს;
- ✓ მე-4 მიმართულების პირველადი უმაღლესი ქულა არის 69;

საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ინდექსის გამოთვლისას თითოეულ მიმართულებას თანაბარი წონა ენიჭება და თითოეული მიმართულების კოიფიციენტი არის 25.

საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შეფასების ინდექსის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 100 შესაძლო ქულით. ინდექსი გამოითვლება საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის 4 მიმართულების შეფასების შედეგების მიხედვით. მიმართულების კოიფიციენტები გამოითვლება შემდეგი ფორმულით: ***მიმართულებაში მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული ქულა გამრავლებული კოიფიცენტზე 25 და შეფარდებული მიმართულების პირველად უმაღლეს ქულასთან.***

მუნიციპალიტეტის საბოლოო ქულა იქნება 4 მიმართულების კოიფიციენტების ჯამი.

მაგალითად, მუნიციპალიტეტი 1-ელ მიმართულებაში თუ მიიღებს 37 ქულას შეფასების შედეგად, მისი კოიფიციენტი იქნება 37*25/48=19.27

	უმაღლესი პირველადი ქულა	შეფასების პირველადი ქულა	მიმართულების კოიფიციენტი	ფორმულა	მიღებული საბოლოო ქულა
1 მიმართულება	48	37	25	37*25/48	19.27
2 მიმართულება	138	102	25	102*25/138	18.47
3 მიმართულება	93	78	25	78*25/93	20.96
4 მიმართულება	69	41	25	41*25/69	14.85
მუნიციპალიტეტის საბოლოო ქულა					**73.55**

თითოეული მიმართულების მიხედვით მიღებული საბოლოო ქულის მიხედვით მუნიციპალიტეტის შეფასება თავად მიმართულებისთვის შემდეგი სახის იქნება:

- ✓ 0-5 ძალიან ცუდი
- ✓ 6-10 ცუდი
- ✓ 11-15 საშუალო
- ✓ 16-20 კარგი
- ✓ 21-25 ძალიან კარგი

მუნიციპალიტეტის ინდექსი გამოითვლება ოთხივე მიმართულების საბოლოო ქულების დაჯამებით.

საბოლოო ქულის მიხედვით მუნიციპალიტეტის შემდეგი შეფასება ექნება:

- 0-20 ძალიან ცუდი
- 21-40 ცუდი
- 41-60 საშუალო
- 61-80 კარგი
- 81-100 ძალიან კარგი

მიმართულება 1: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადება

✓ აქტივობა 1.1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე მერის ბრძანება

<u>1.1.1. კრიტერიუმების</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე გამოიცემა მერის ბრძანება, საკითხი ბრძანება არ არის გამოცემული, მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების საკითხი. კოდექსის 76 მუხლით განსაზღვრულია, რომ მერი გამოსცემს ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე.

<u>შენიშვნა:</u> *თუკი მუნიციპალიტეტი 1.1.1 კრიტერიუმით შეფასდება 0 ქულით, პირველი მიმართულების შემდეგი აქტივობები და კრიტერიუმები აღარ ფასდება და შესაბამისად, 1.1. აქტივობაში მუნიციპალიტეტს ექნება 0 ქულა.*

<u>1.1.2. კრიტერიუმების</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე მერის ბრძანება, კანონით განსაზღვრულ ვადაში, 1 მარტს იქნება გამოცემული. თუკი პირველი მარტი ემთხვევა არასამუშაო დღეს, ამ შემთხვევაში ბრძანება შეიძლება დაიწეროს უახლოეს სამუშაო დღეს, მაგალითად, თუ 1 მარტს დაემთხვა შაბათი დღე, ორშაბათს კი 3 მარტია და დასვენების დღე, ამ შემთხვევაში ბრძანება გამოიცემა 4 მარტს.

თუ ბრძანების გამოცემა კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით მოხდება ბრძანების გამოცემა, მაშინ მუნიციპალიტეტი ფასდება 1 ქულით.

ამ საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

<u>საბიუჯეტო კოდექსი:</u> *მუხლი 76 მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობა*

პუნქტი 3. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისთვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ფინანსთა მინისტრის ბრძანება 385-ის თანახმად, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში ყოველი შემდგომი წლის საბიუჯეტო პროცესი იწყება 1 მარტიდან, როდესაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა/განახლების სამუშაოების ორგანიზების შესახებ.

<u>1.1.3. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბრძანების ფორმა და შინაარსი ასევე განსაზღვრულია ფინანსთა მინისტრის #385 ბრძანებით. აღსანიშნავია, რომ მინისტრის ბრძანება სარეკომენდაციო ხასიათის არის, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტების მიერ ანგარიშვალდებულების ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იყოს რეკომენდაციები.

ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად, მერის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიზანშეწონილია განისაზღვროს და დარეგულირდეს შემდეგი საკითხები:

განისაზღვროს ბრძანების მიზანი - პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლება, შემდგომი წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება;

მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა. ჯგუფს სასურველია ხელმძღვანელობდეს მერი ან მერის ის მოადგილე, რომელიც კურირებს საბიუჯეტო პროცესს, ჯგუფის შემადგელობაში უნდა შედიოდნენ მერის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ყველა სფეროს წამყვანი თანამდებობის პირები. საჭიროების შემთხვევაში, ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შედგენისას კონსულტაციების მიღების მიზნით, კომისიაში შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტიც.

აქტით უნდა დადგინდეს კონკრეტული ვადები (შიდა საბიუჯეტო კალენდარი), თუ როდის უნდა მოხდეს შესაბამისი სამსახურების (მათ შორის, მუნიციპალური სსიპ-ის/ა(ა)იპ-ის მიერ საფინანსო სამსახურისათვის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის მომზადებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება კანონით დადგენილი ვადების გათვალისწინებით. მუნიციპალური სამსახურების, მათ შორის საფინანსო სამსახურის მიერ, ინფორმაცია უნდა დამუშავდეს და მოცემულ იქნეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებისა და ამ მეთოდოლოგიით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

აქტით უნდა განისაზღვროს სამუშაო ჯგუფის შეკრების პერიოდულობა.

მერის ბრძანებაში აღნიშნულია, თუ რა შესაბამისი დანართები ახლავს მას, სადაც ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები არის გათვალისწინებული. დანართებს შორის არის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, შიდა საბიუჯეტო კალენდარი - სამუშაო ჯგუფისა და

მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტის პროექტზე მუშაობის გრაფიკი და სხვა.

თუკი ამ მოთხოვნებიდან მხოლოდ რეკომენდაცია 2 იქნება გათვალისწინებული, მუნიციპალიტეტი შეფასდება 2 ქულით, ხოლო თუ მხოლოდ 1 რეკომენდაცია იქნება შესრულებული, მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება, ხოლო 0 ქულა ექნება მუნიციპალიტეტს, თუკი ზემოთ მოცემული არც ერთი რეკომენდაცია არ იქნება გათვალისწინებული.

<u>1.1.4. კრიტერიუმის</u> მიხედვით, მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბრძანება და ყველა დანართი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ-ვებ-გვერდზე, ხოლო თუკი დანართების მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული, ფასდება 2 ქულით, იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ბრძანებაა დანართების გარეშე გამოქვეყნებული, მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება, ხოლო თუკი ბრძანება და დანართები არ არის გამოქვეყნებული, მუნიციპალიტეტი კრიტერიუმში 0 ქულას მიიღებს.

შემფასებელმა მერიიდან უნდა გამოითხოვოს მერის ბრძანება და შესაბამისი დანართები და შემდეგ გადაამოწმოს, რამდენად სრულყოფილად არის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე მერის ბრძანების საჯაროობის ვალდებულება მუნიციპალიტეტს კანონით არ აქვს განსაზღვრული, თუმცა რადგან ბრძანება მნიშვნელოვანია დოკუმენტია და ბრძანების შინაარსი საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მისი გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამასთან აღნიშნული ბრძანების მოძიება უნდა იყოს შესაძლებელი საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ველში, ან სხვა შესაბამის ველზე.

<u>1.1.5. კრიტირიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე მერის ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ გამოთხოვის შემთხვევაში კანონით განსაზღვრულ ვადებში არის ხელმისაწვდომი, კანონით განსაზღვრული ვადით მიწოდების შემთხვევაში 1 ქულით ფასდება, ხოლო თუ არ მოხდება დოკუმენტის მიწოდება, მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება.

აღნიშნული კრიტიერიუმი შეფასებისთვის შემფასებელმა მერიიდან უნდა გამოითხოვოს მერის ბრძანება და შესაბამისი დანართები.

ინფორმაციის საჯაროობის საკანონმდებლო საფუძველი:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 37-ის 1-ელი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის

მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი; მე-2 პუნქტის მიხედვით, საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. აუცილებელი არ არის, განცხადებაში მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი.

მუხლი 40-ის 1-ელი პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

მუხლი 40-ის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

მე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

<u>1.1.6. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მერის ბრძანებაში განსაზღვრული პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები, ვადები და პასუხისმგებელი სამსახურები/ თანამდებობის პირები. ამდენად, ბრძანება უნდა მოიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორიც არის მოქალაქეთა საჭიროების იდენტიფიცირების სამუშაოები, მოქალაქეთა პრიორიტეტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ფორმები და მეთოდები. აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა არ არის კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული, თუმცა მერის ბრძანებით ამ საკითხის დარეგულირება წარმოადგენს კარგ პრაქტიკას და ამდენად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს მერის ბრძანებაში რამდენად არის გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის საკითხი.

თუკი მერის ბრძანებით განსაზღვრულია პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და ვადები, თუმცა არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი სამსახური / თანამდებობის პირები მუნიციპალიტეტი 2 ქულით ფასდება, ხოლო მერის ბრძანებით განსაზღვრულია პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები, თუმცა არ არის განსაზღვრული ვადები და პასუხისმგებელი სამსახური / თანამდებობის პირები 1 ქულით შეფასდება

მუნიციპალიტეტი, ხოლო 0 ქულით თუ არც ერთი საკითხი არ არის ბრძანებით განსაზღვრული.

✓ აქტივობა 1.2. პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადება

1.2.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუ აქვს მომზადებული პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი ფინანსთა მინისტრის #385 ბრძანების თანახმად. თუ არ არის მომზადებული პირველადი ვარიანტი, კრიტერიუმი ფასდება 0 ქულით.

შემფასებელმა მერიიდან უნდა გამოითხოვოს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „1.2.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 1.2. შეფასდება 0 ქულით.*

1.2.2 კრიტერიუმი - ფინანსთა მინისტრის #385 ბრძანების თანახმად, პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი 15 აგვისტომდე. 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, როცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებობს (მერის ბრძანება, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი ან სხვა სახის დოკუმენტი). მუნიციპალიტეტი შეფასდება 1 ქულით, თუკი მერის მიერ დოკუმენტის მოწონება15 აგვისტოს შემდეგ მოხდება (მიზეზი შეიძლება იყოს სამუშაო ჯგუფის მიერ დოკუმენტის მომზადების დაგვიანება, ან მერისთვის გვიან წარდგენა), ხოლო თუკი არ იქნება ამ მოწონების დამადასტურებელი საბუთი 0 ქულით ფასდება. შემფასებელმა უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მერის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის მოწონებას.

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციები და მათში შემავალი სტრუქტურული ერთეულები იწყებენ მუშაობას საბიუჯეტო განაცხადზე პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის ფარგლებში მოწონებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობის მიხედვით.

1.2.3. კრიტერიუმი - პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსიის წინასწარი გამოქვეყნება არ არის გათვალისწინებული არც კანონმდებლობით, არც ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, თუმცა მისი საჯაროობა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს მერიის გადაწყვეტილებით, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის. ამასთან პირველადი ვარიანტის გამოქვეყნება

ხელს უწყობს ამ დოკუმენტის თაობაზე საზოგადოების ჩართულობას, დიალოგსა და განხილვების წარმართვას.

მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვერსია სრული სახით არის გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე, ან სხვა საშუალებით. ხოლო თუ ნაწილობრივ, მხოლოდ ძირითადი პრიორიტეტების ზოგადი ჩამონათვალია გამოქვეყნებული, მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება. ხოლო თუ საერთოდ არ არის გამოქვეყნებული პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე ინფორმაცია, მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

- ✓ **აქტივობა 1.3. - პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვერსია**

1.3.1. კრიტერიუმით ფასდება, რამდენად არის უზრუნველყოფილი პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოში ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარდგენა. თუ პრიორიტეტების დოკუმენტი წარდგენილია საკრებულოში ბიუჯეტის პროექტთან ერთად და არსებობს ამ დოკუმენტის წარდგენის დამადასტურებელ საბუთს (მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი), ფასდება 3 ქულით. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის მიწოდება შემფასებლისთვის.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „1.3.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 1.3. შეფასდება 0 ქულით.*

1.3.2. კრიტერიუმი - პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვერსია საკრებულოს წარედგინება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა. თუ ეს მოთხოვნა კანონით განსაზღვრულ ვადაში არ არის შესრულებული, მუნიციპალიტეტი ფასდება 1 ქულით. შეფასება იწერება საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის მიწოდება შემფასებლისთვის.

1.3.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტი შედგენილია კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. შემფასებელი ამ კრიტერიუმით შეფასების მიზნით უნდა გაეცნოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს. 3 ქულა უნდა დაიწეროს, თუკი ქვემოთ მოცემული ყველა თავი არის დოკუმენტში მოცემული.

ფინანსთა მინისტრის ბრძანების თანახმად, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა მოიცავს:

პრიორიტეტების დოკუმენტი მიზანშეწონილია შედგებოდეს 3 თავისგან და მასში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია, შემდეგი თანმიმდევრობით:

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	**თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**	**თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში**
დასახელება; რაიონული ცენტრი; მუნიციპალიტეტში ქალაქის, დაბის, თემის და სოფლის რაოდენობა; ფართობი (%-ულად რეგიონთან, ქვეყანასთან); გზების სიგრძე; მოსახლეობის რაოდენობა (%-ულად რეგიონთან, ქვეყანასთან); ქალაქად/სოფლად მაცხოვრებლი; ქალის/კაცის, 0-5 წლამდე ბავშვების, სკოლის ასაკის ბავშვების და პენსიონერთა რაოდენობა; მოსახლეობის სიმჭიდროვე; სოციალურად დაუცველთა რაოდენობა; მაღალმთიან დასახლებებში მაცხოვრებლების რაოდენობა; ბიუჯეტის მოცულობა (მიმდინარე წლის); სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ.	ბიუჯეტის შემოსულობები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის; ბიუჯეტის გადასახდელებს (საბიუჯეტო კლასიფიკაციის ძირითადი მუხლებისა და დაფინანსების წყაროების მიხედვით) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის. ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გასული, მიმდინარე წლის, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი 3 წლისათვის; გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება მოცემული უნდა იყოს ძირითად საკითხები გასული წლის ბიუჯეტის შესრულებიდან და მიმდინარე წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება.	ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომ 3 წლისათვის; წარმოდგენილი უნდა იყოს შემდგომი 4 წლის განმავლობაში თითოეული პრიორიტეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტიდან დაფინანსებული ყველა პრიორიტეტის და პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა, მიზნები და ამოცანები, მოსალოდნელი შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტების დაფინანსების ზღვრული ოდენობისა (საკუთარი შემოსავლების ფარგლებში) და ჯამური დაფინანსების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი *<u>საბიუჯეტო კოდექსის 76 მუხლის მე-4 პუნქტის</u>* მიხედვით: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების,

ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს;

ბ) მუნიციპალიტეტის გასული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების საბოლოო შედეგების ანალიზს და მიმდინარე საბიუჯეტო წლის გადამუშავებულ პროგნოზებს;

გ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისთვის:

გ.ა) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ პროგრამებს/ქვეპროგრამებს;

გ.ბ) მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების ოდენობებს, მიზნებსა და შედეგებს.

<u>1.3.4. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი პრიორიტეტების დოკუმენტში არის აღნიშნული მოქალაქეთა ჩართულობის რა ფორმები იქნა გამოყენებული და რა საკითხები იქნა გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად. მუნიციპალიტეტის ამ კრიტერიუმით შეფასების დროს შემფასებელმა მერიის საფინანსო სამსახურის წარმომადგენლებთან უნდა გაიაროს კონსულტაცია, რამდენად არსებობს ასეთი ჩანაწერი დოკუმენტში და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ უნდა გადაამოწმოს, მართლაც არის თუ არა ასეთი ჩანაწერი. შესაძლია ასეთი ჩანაწერი იყოს დოკუმენტის ძირითად ნაწილში, ან თავად პროგრამებისა და ქვეპროგრამების აღწერაში იყოს აღნიშნული ინფორმაცია. ამ შემთხვევაში 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი. ხოლო თუ არ არის მოცემული, რა საკითხები იქნა გათვალისწინებული და მხოლოდ აღნიშნულია ჩართულობის ფორმები, ფასდება 1 ქულით. თუ არც ერთი ინფორმაცია არ არის - 0 ქულით.

<u>1.3.5 კრიტერიუმის</u> მიხედვით 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუ აქვს გამოქვეყნებული ოფიციალურ ვებ-გვერდზე პრიორიტეტების დოკუმენტი. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიას ცალ-ცალკე ოფიციალური გვერდები აქვს, სასურველია გამოქვეყნებული იყოს ორივე ვებ-გვერდზე, თუ ერთ-ერთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მაინც არის გამოქვეყნებული, მუნიციპალიტეტი მაინც შეფასდება 3 ქულით. ხოლო თუ არცერთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ არის გამოქვეყნებული, შეფასდება 0 ქულით.

პრიორიტეტების დოკუმენტს არ აქვს ნორმატიული აქტის სტატუსი, იგი არ ქვეყნდება საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე, თუმცა მნიშვნელოვანია, გამოქვეყნებული იყოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ასევე ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირისთვის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოქსით“ გამოთხოვის შემთხვევაში.

✓ <u>აქტივობა 1.4. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენა</u>

<u>1.4.1. კრიტერიუმი</u> - ბიუჯეტის პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად საკრებულოს წარედგენება არაუგვიანეს 15 ნოემბრისა. თუ ეს მოთხოვნა არ არის შესრულებული. მუნიციპალიტეტი ფასდება 0 ქულით. შეფასება იწერება საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის მიწოდება შემფასებლისთვის.

<u>1.4.2 კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ბიუჯეტის პროექტი შედგენილია კანონის მოთხოვნების სრულად გათვალისწინებით და ასევე ახლავს ყველა საჭირო დანართი, როგორიც არის:

ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათი; მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას; ინფორმაცია სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ; ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ დამატებითი ინფორმაცია.

შემფასებელი უნდა გაეცნოს ბიუჯეტის პროექტს და 3 ქულა უნდა დაწეროს, თუკი ქვემოთ მოცემული ყველა საკითხი არის დოკუმენტში მოცემული და ასევე ახლავს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დანართი. თუკი ბიუჯეტის პროექტის სტრუქტურა სრულად შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არ ახლავს ყველა დანართი მუნიციპალიტეტი ფასდება 2 ქულით, ხოლო თუკი ბიუჯეტის პროექტი სრულად არ შეესაბამება კანონისა და ფინანსთა მინისტრის ბრძანების მიხედვით მოთხოვნილი სტრუქტურას (ყველა მუხლი არ არის მოცემული ბიუჯეტში) და ასევე არ ახლავს დანართები, მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული პროგრამისათვის/ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით : ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები; არაფინანსური აქტივების ზრდა; ფინანსური აქტივების ზრდა; ვალდებულებების კლება;
ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას
ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით
სარეზერვო ფონდის მოცულობას;
დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს
პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

ფინანსთა მინისტრის 385 ბრძანების მიხედვით, წლიური ბიუჯეტის პროექტი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრუქტურით:

თავი I. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო
მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

თავი II. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

წლიური ბიუჯეტის მე-3 თავში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების შესახებ. ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.

პროგრ. კოდი	**პრიორიტეტი/პროგრამა/ქვეპროგრამა**
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
01 01	საკონონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა

01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულების ფონდი
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება
02 01 01	გზების მიმდინარე შეკეთება
02 02 02	ახალი გზების მშენებლობა
02 02 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება
02 02	წყლის სისტემების განვითარება
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება
02 03	გარე განათება
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია
02 03 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება
02 04 01	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება
02 04 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება
02 05	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება
02 07	კეთილმოწყობა
02 07 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია
02 07 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია
02 07 03	სადღესასწაულო ღონისძიებები
02 07 04	შადრევან-აუზების ექსპლოტაცია, რეაბილიტაცია, მშენებლობა
02 08	სარიტუალო ღონისძიებები

02 08 01	სასაფლაოების მოვლა, შემოღობვა
02 08 02	სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში
04 00	განათლება
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
05 01	სპორტის სფეროს განვითარება
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა
05 01 02	სპორტული ღონისძიებები
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
05 02	კულტურის სფეროს განვითარება
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა
05 02 02	კულტურის ობიექტების აღჭურა, რეაბილიტაცია, მშენებლობა
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
06 01	ჯანმრთელობის დაცვა
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
06 02	სოციალური დაცვა

მიმართულება 2: საზოგადოების მონაწილეობა პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში

ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ „პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტული სფეროები და მათი დაფინანსების დინამიკა პირველ რიგში უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს, უნდა უზრუნველყოფდეს იმ პრობლემების მოგვარებას, რაც დასტურდება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციით“.
სამართლებრივი აქტებით არ არის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში მოსახლეობასთან კონსულტაციის რა ფორმა უნდა იყოს გამოყენებული. თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულია მოქალაქეთა მონაწილეობის სხვადასხვა ფორმები და ასევე თვითმმართველ ორგანოებს აქვთ თავისუფლება, საკუთარი შეხედულების მიხედვით განსაზღვრონ მოქალაქეთა ჩართულობის დამატებითი ფორმები. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების პროცესში გამოყენებული იყოს მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები და უზრუნველყოს ყველა ჯგუფის მონაწილეობა ამ პროცესში, რათა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტი პასუხობდეს მოსახლეობის საჭიროებებს და ეს საჭიროებები იდენტიფიცირებული იყოს ადგილობრივ საზოგადოებასთან კონსულტაციის გზით.

აქტივობა 2.1. მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმებისა და სხვა დამატებითი ფორმების დანერგვა

2.1.1 კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუ ოფიციალური დოკუმენტით გაწერილია პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და ამ ფორმების გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს. მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი დანერგილია ან კანონით განსაზღვრული ან დამატებითი ფორმები, ან ორივე ერთად, იქნება ეს გამოკითხვა, საჯარო შეხვედრები, წერილები, ინიციატივები, პეტიცია, მერის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები, დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებები ან სხვა.

შესაბამისი დოკუმენტი შესაძლოა განთავსებული იყოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან მოთხოვნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერიამ ან საკრებულომ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

შენიშვნა: *მუნიციპალიტეტმა 2.1.1. კრიტერიუმით შეფასების დროს მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, სადაც*

აღნიშნული იქნება, რომ პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისთვის დანერგილია ჩართულობის მექანიზმები. ეს დოკუმენტი შეიძლება იყოს: ოქმი, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალა, ჩართულობის დამადასტურებელი ფოტო და ვიდეო მასალა, საგაზეთო სტატია და სხვა. *თუკი მუნიციპალიტეტი 2.1.1-ისთვის ვერ შეძლებს დოკუმენტაციის წარმოდგენას, აღნიშნული კრიტიერიუმი შეფასდება 0 ქულით, ხოლო 2.1 აქტივობის სხვა კრიტერიუმები აღარ ფასდება და აქტივობის შეფასება იქნება 0 ქულა.*

სამართლებრივი საფუძველი:

თვითმმართველობის კოდექსის თანახმად 85 მუხლით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები.

მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის;

ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით;

მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.

კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

თვითმმართველობის კოდექსის 85 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისთვის მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები მუნიციპალიტეტს შეიძლება გაწერილი ჰქონდეს შემდეგ ოფიციალურ დოკუმენტებში:

- საკრებულოს რეგლამენტით;
- მერიის დებულებით;
- სამსახურების დებულებით;
- მერის ბრძანებით პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების თაობაზე;
- მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტრატეგიია და სამოქმედო გეგმა;
- მერიის სამსახურების სამოქმედო გეგმა;
- გენდერული საბჭოს დებულება;

<u>2.1.2. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში დანერგილია მოქალაქეთა მონაწილეობის 3 და მეტი ფორმა. მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ფორმიდან 3 თუ აქვს დანერგილი: გამოკითხვა, საჯარო შეხვედრები, წერილები, ინიციატივები, პეტიცია, მერის მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები, სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შექმნილი მრჩეველთა საბჭოების რეკომენდაციები/ინიციატივები, დასახლების საერთო კრების გადაწყვეტილებები ან სხვა. 2 ქულით ფასდება თუკი 2 ფორმა მაინც აქვს დანერგილი, ხოლო 1 ქულით თუკი ერთი ფორმა აქვს მხოლოდ დანერგილი.

ამასთან 3 ქულის მინიჭებისთვის საჭიროა, რომ ამ ფორმების გამოყენების თაობაზე მუნიციპალიტეტმა წარმოადგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი ჩართულობის ფორმების გამოყენების თაობაზე:

- ოქმი
- გამოკითხვა მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
- ფოტო და ვიდეო მასალა;
- საგაზეთო სტატია თუ სხვა.

<u>2.1.3 კრიტერიუმი</u> აფასებს, რამდენად არიან დაინტერესებული პირები (მოსახლეობა, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, საინიციატივო ჯგუფები და სხვა) ინფორმირებული მუნიციპალიტეტში არსებული ჩართულობის მექანიზმების თაობაზე, როგორ და რა ვადებში მოხდება ამ მექანიზების გამოყენება.

კრიტერიუმის შეფასების დროს მნიშვნელოვანია ეს ინფორმაცია იძებნებოდეს მერიის ოფიციალურ გვერდზე ან სხვა წყაროებით. მუნიციპალიტეტმა შეფასების დროს უნდა წარმოადგინოს რაიმე დამადასტურებელი საბუთი, სადაც იქნება მოცემული ინფორმაცია მოსახლეობისთვის, ბიუჯეტის შემუშავებისთვის მოქალაქეთა ჩართულობის რა ფორმებია დანერგილი მუნიციპალიტეტში.

3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუ პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და ვადების (თუ რა პერიოდში და როდის მოხდება ამ ფორმების გამოყენება) შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია 1-ზე მეტი საშუალებით და ინფო განთავსებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, Facebook გვერდზე ან სხვა საშუალებით, ხოლო 1 ქულით ფასდება, თუ მხოლოდ ერთი წყაროს საშუალებით ხდება დაინტერესებული პირების ინფორმირება, ხოლო თუკი პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებისა და ვადების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, Facebook გვერდზე ან სხვა საშუალებით 0 ქულით ფასდება.

<u>2.1.4 კრიტერიუმით</u> ფასდება თავად მოქალაქეთა ჩართულობა მონაწილეობის ფორმების განსაზღვის დროს. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მიერ მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და ვადები დაიგეგმოს თავად დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის გზით. ამდენად, კრიტერიუმი 2.1.4 აფასებს სწორედ როგორი იყო ჩართულობა ამ პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული პირების (მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მრჩეველთა საბჭო და სხვა) და არსებობს ამ მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ამის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს:

- შეხვედრების ოქმი;
- შეხვედრების ფოტო-მასალა;
- შეხვედრების შესახებ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალა;

კვლევის შედეგები - შესაძლოა მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატაროს, რა ფორმით სურთ საბიუჯეტო პროცესში ჩართულობა და ამ კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდეს შემდგომ ჩართულობის მექანიზმები. სწორედ ეს კვლევის შედეგები იქნება დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მერიამ უნდა წარმოადგინოს.

მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, როცა ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას შეძლებს მუნიციპალიტეტი, თუ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ზეპირი კომუნიკაციის დროს იქნება აღნიშნული, რომ ჩართულობის შედეგად მოხდა ამ ფორმების განსაზღვრა, თუმცა ამის დამადასტურებელი

დოკუმენტის წარმოდგენას ვერ შეძლებენ, მაშინ 1 ქულით შეფასდება, თუმცა თუკი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ არსებული მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები და ვადები არ არის შემუშავებული სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან - (მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მრჩეველთა საბჭო და სხვა) კონსულტაციის გზით, 0 ქულით შეფასდება მუნიციპალიტეტი.

✓ **აქტივობა 2.2. მოქალაქეთა გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით**

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მერია არ არის ვალდებული ჩაატაროს რაოდენობრივი გამოკითხვა, თუმცა მოსახლეობის საჭიროების განსაზღვრის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება სწორედ რაოდენობრივი გამოკითხვაა. ამდენად, თუკი მუნიციპალიტეტის მერია ატარებს რაოდენობრივ გამოკითხვას, ეს არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

2.2.1 კრიტერიუმი აფასებს მერიის მიერ რამდენად არის დანერგილი მოსახლეობის რაოდენობრივი გამოკითხვა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. თუკი დანერგილია ეს მეთოდი, მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით.

შენიშვნა: *თუკი მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს დანერგილი მოსახლეობის რაოდენობრივი გამოკითხვის მეთოდი საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, კრიტერიუმი „2.2.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.2. შეფასდება 0 ქულით.*

რას წარმოადგენს რაოდენობრივი კვლევის მეთოდი

კვლევის მეთოდები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად.

რაოდენობრივი მონაცემების მოპოვების მთავარი ინსტრუმენტია მასობრივი გამოკითხვა, რომელიც ჩვეულებრივ გულისხმობს კითხვარის შედგენას ამა თუ იმ საკითხის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესასწავლად, მთელი პოპულაციიდან უშუალოდ კვლევაში მონაწილე ადამიანთა ჯგუფის გამოყოფას, ჯერ პილოტური გამოკვლევის, შემდეგ კი ძირითადი გამოკვლევის ჩატარებას, მიღებული მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, და ბოლოს, კვლევის ანგარიშის შექმნას. (იხ. დოკუმენტი რაოდენობრივი კვლევის შესახებ http://ucss.ge/publication/raodenobrivi%20kvlevis%20meTodebis%20saxelomzgv.pdf

მასობრივი გამოკითხვა: ანკეტირება და ინტერვიუ.

ანკეტირება (თვითადმინისტრირებადი გამოკითხვა) ორი სახისაა:

რესპონდენტი დამოუკიდებლად ავსებს კითხვარს, რომელსაც უშუალოდ მკვლევარი აძლევს თვითადმინისტრირებულს ვუწოდებთ)

საფოსტო, რესპონდენტი ფოსტით ღებულობს კითხვარს, დამოუკიდებლად ავსებს და ფოსტითვე უგზავნის უკან ორგანიზაციას.

ინტერვიუ ორი სახისაა:

პირისპირ ინტერვიუ, როცა ინტერვიუერი უშუალოდ უსვამს შეკითხვებს რესპონდენტს;

სატელეფონო, როცა ინტერიუერი ურეკავს რესპონდენტს და ტელეფონით უსვამს შეკითხვებს;

2.2.2. კრიტერიუმის მიხედვით ფასდება მერიის მიერ რაოდენობრივი გამოკითხვის დროს რესპონდენტების შერჩევის მეთოდი.

შერჩევა ორი ძირითადი სახისაა: **ალბათური და არაალბათური.** ალბათური შერჩევისას, გენერალური ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი შანსი აქვს, რომელიც შემთხვევითია და არც ერთი ელემენტისთვის არ არის ნულოვანი. არაალბათური შერჩევისას, გენერალური ერთობლიობის თითოეულ ელემენტს შერჩევით ერთობლიობაში მოხვედრის არათანაბარი, ზოგ შემთხვევაში კი - ნულოვანი შანსი აქვს.

თუკი ალბათური მეთოდით ხდება რესპონდენტების შერჩევა, მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, ხოლო არაალბათური მეთოდის გამოყენების შემთხვევაში კი - 1 ქულით.

2.2.3. კრიტერიუმით ფასდება, როგორია კვლევის ჩატარების არეალი. მუნიციპალიტეტი სამი ქულით ფასდება, თუ ყველა დასახლებულ ერთეულშია რაოდენობრივი გამოკითხვა (ალბათური ან არაალბათური) ჩატარებული (სოფელი, დაბა, ქალაქი), ხოლო 1 ქულით, თუ მხოლოდ ადმინისტრაციული ერეულების მიხედვით ტარდება და ადმინისტრაციული ერთეულის ყველა დასახლებაში (სოფელში) არ არის მოსახლეობა გამოკითხული.

მუნიციპალიტეტის დასახლებულ ერთეულს წარმოადგენს: ქალაქი, დაბა, სოფელი;

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად: დასახლებები - მუნიცილიტეტში მოსახლეობის განსახლების პირველადი ტერიტორიული ერთეულები (სოფელი, დაბა, ქალაქი);

ადმინისტრაციული ერთეულები - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები - მართვის ოპტიმიზაციისათვის მიზნით მუნიციპალიტეტში არის ადმინისტრაციული ერთეულები შექმილი (თვითმმართველობის კოდექსი მუხლი 3); ადმინისტრაციულ ერთეულები შეიძლება მოიცავლდეს რამდენიმე სოფელს, ერთ სოფელს, თემს.

2.2.4. კრიტირიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტის ფასდება 3 ქულით თუ სხვადასხვა წყაროებით აქვს გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგები - მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მერიისა და საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე და

ასევე სხვა არაოფიციალურ საშუალებებში (მედია, ტელევიზია, საინფორმაციო ფურცლებით და სხვა. 3 ქულა იქნება დაწერილი თუ არსებობს დამადასტურებელი წყარო ოფიციალურ და არაოფიციალურ საშუალებებში შედეგების გამოქვეყნების დამადასტურებელი. 2 ქულა იწერება, თუკი ორი საშუალებით მაინც არის გამოქვეყნებული და აქედან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა იყოს ოფიციალური ვებ-გვერდი, 1 ქულა იწერება თუკი 1 საშუალებით მაინც არის გამოქვეყნებული (მნიშვნელობა არ აქვს წყაროს). თუკი საერთოდ არ გამოქვეყნებული იწერება 0 ქულა.

✓ აქტივობა 2.3. მოსახლეობის აზრის კვლევა ელექტრონული გამოკითხვის საშუალებით

2.3.1 კრიტერიუმის მიხედვით ფასდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში თუ იყენებს მოსახლეობის ელექტრონული გამოკითხვის ფორმას.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მერია არ არის ვალდებული დანერგილი ჰქონდეს ელექტორნული გამოკითხვა, თუმცა მოსახლეობის საჭიროების განსაზღვრის ერთ-ერთი საშუალება არის სწორედ ელექტრონული გამოკითხვა, მით უფრო მაშინ, როცა პირისპირ გამოკითხვა შეზღუდულია (პანდემიის დროს განსაკუთრებით რთული იყო პირისპირ გამოკითხვის ჩატარება). ამდენად, თუკი მუნიციპალიტეტის მერიას აქვს დანერგილი ელექტორნული გამოკითხვა ბიუჯეტის თაობაზე, ეს არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.3.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.3. შეფასდება 0 ქულით.*

2.3.2 კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუ სხვადასხვა პლატფორმებზე აქვს განთავსებული გამოკითხვა (ლიკნი) - (ოფიციალური ვებ-გვერდი, მერიის Facebook გვერდი, საკრებულოს Facebook გვერდი ან სხვა) და სხვა შესაძლო არხებზე, ან მოსახლეობას ლინკი ეგზავნება სატელეფონო შეტყობინების სახით. თუ მხოლოდ 2 საშუალებით არის გამოქვეყნებული, მაშინ 2 ქულით ფასდება, ხოლო 1 ქულით კი იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ 1 საშუალებით არის გამოკითხვის ლინკი გამოქვეყნებული.

2.3.3 კრიტერიუმი აფასებს, რამდენად საჯაროა მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები და ხელი მიუწვდება თუ არა ამ შედეგებზე ყველა დაინტერესებულ მხარეს. 3 ქულით ფასდება თუკი სხვადასხვა რამდენიმე საშუალებით არის შედეგები გასაჯაროებული, თუ 2 საშუალებით მუნიციპალიტეტი 2 ქულით შეფასდება, ხოლო თუ ინფორმაცია ერთ საშუალებით არის გავრცელებული 1 ქულით

ფასდება. თუკი საჯაროობა საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი, 0 ქულით შეფასდება მუნიციპალიტეტი.

- ✓ **აქტივობა 2.4. ბიუჯეტის თაობაზე მოქალაქეთა მიერ ელექტრონულად წინადადების წარდგენის სისტემა**

2.4.1. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუ ოფიციალურ ვებ-გვერდზე არის განთავსებული სპეციალური პანელი, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ თავისი აზრი მიწერონ მერიას ბიუჯეტის შემუშავების დროს რა საკითხები უნდა იყოს გათვალისწინებული. თუკი ასეთი სისტემა არ არის დანერგილი, მუნიციპალიტეტი ფასდება 0 ქულით.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მერია არ არის ვალდებული დანერგილი ჰქონდეს ბიუჯეტის თაობაზე ელექტორნულად მოქალაქეთა მიერ წინადადებების წარდგენის სისტემა, თუმცა ასეთი სისტემის არსებობა მოსახლეობის საჭიროების განსაზღვრის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა. ამდენად, თუკი მუნიციპალიტეტის მერიას აქვს დანერგილი, ეს არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.4.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.4. შეფასდება 0 ქულით.*

2.4.2 კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოქალაქეთა მიერ ბიუჯეტის პროექტის თაობაზე წერილობითი მიმართვის სისტემა მოქმედია.

შემფასებელმა სისტემის საშუალებით უნდა გააგზავნოს წერილი, რათა შეაფასოს მოქმედია თუ არა წერილის გაგზავნის სისტემა. თუკი წერილი არ გაიგზავნება, კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი შეფასდება 0 ქულით.

2.4.3. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუ ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოქალაქეთა მიერ ბიუჯეტის პროექტის თაობაზე წერილების გაგზავნის სისტემას აქვს უკუკავშირის ფორმა, მოქალაქე იღებს წერილობითი პასუხს ელექტრონულ ფოსტაზე, ან სისტემაში წერილის გაგზავნი შემდეგ იღებს შეტყობინებას, რომ მისი პასუხი მიღებულია და მინიჭებული აქვს ნომერი. ამასთან შესაძლოა, დანერგილი იყოს პასუხის დაბრუნების სხვა ფორმა - სატელეფონო შეტყობინება, წერილი ან სხვა; მერიის მიერ გაგზავნილი პასუხი უნდა ეხებოდეს, მოქალაქის მიერ გაგზავნილი წერილის რეგისტრაციას და მისთვის მინიჭებულ ნომერს. უკუკავშირის ფორმა მოიცავს ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც წერილის ავტორს ატყობინებს ინფორმაციას, მისი

<u>წერილის ადრესატამდე მისვლის შესახებ და არ მოიცავს წერილით მოთხოვნილი საკითხის გადაჭრის თაობაზე ინფორმაციას.</u>

აღნიშნული სისტემის მუშაობის შეფასების მიზნით შემფასებლის მიერ უნდა გაიგზავნოს წერილი, რათა გაიგოს, მოქმედებს თუ არა გაგზავნილ წერილზე პასუხის დაბრუნების სისტემა. თუკი გაგზავნილ წერილზე პასუხი არ იქნება მიღებული, მუნიციპალიტეტი შეფასდება 0 ქულით.

- ✓ **აქტივობა 2.5. მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ჩატარება მერიის თანამშრომლებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მონაწილეობით პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით**

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს პირდაპირი ვალდებულება საჯარო შეხვედრების ჩატაროს მოსახლეობასთან პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, თუმცა მოსახლეობის საჭიროების განსაზღვრის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამდენად, თუკი მუნიციპალიტეტის მერიას აქვს დანერგილი საჯარო შეხვედრების ფორმატი, ეს არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

<u>**2.5.1 კრიტერიუმით**</u> მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტარდება მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრები პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. ამ კრიტერიუმის მიხედვით დადებითად შესაფასებლად საჭიროა, მერიის მიერ წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ფაქტის დამატასტურებელი დოკუმენტები: შეხვედრის ოქმი, სურათები, მერიაში გამოქვეყნებული მასალები და სხვა. მერიის თანამშრომლების მიერ მხოლოდ ზეპირი განცხადებები, რომ შეხვედრები ტარდება, შეფასების დროს ვერ იქნება მხედველობაში მიღებული თუკი არ იქნება შესაბამისი დოკუმენტებით გამყარებული.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.5.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.5. შეფასდება 0 ქულით.*

<u>**2.5.2. კრიტერიუმით**</u> მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მერიის მიერ საჯარო შეხვედრების ჩატარების შესახებ ინფორმაცია მოსახლეობისთვის მიწოდებული სხვადასხვა საშუალებებით და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (განცხადება, სურათი, ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალა და სხვა წყარო). შეფასების დროს წარმოდგენილი უნდა იყოს ეს დოკუმენტები. თუკი დოკუმენტები ვერ იქნება წარმოდგენილი კრიტერიუმში მუნიციპალიტეტი მიიღებს 0 ქულას.

<u>**2.5.3. კრიტერიუმით**</u> მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით საჯარო შეხვედრები ჩატარება უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, 2 ქულით ფასდება თუკი მხოლოდ რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში ტარდება საჯარო შეხვედრა, ხოლო

თუ მხოლოდ საჯარო შეხვედრა მხოლოდ 1 ადმინისტრაციულ ერთეულშია ჩატარებული, 1 ქულით შეფასდება მუნიციპალიტეტი.

<u>2.5.4. კრიტერიუმით</u> მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მერიის მიერ ჩატარებული საჯარო შეხვედრების დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ჩართულობა, გამოთქმული მოსაზრებები დაოქმებულია და არსებობს შესაბამისი დოკუმენტი. შემფასებელმა დროს უნდა მოითხოვოს აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა. თუკი ვერ მოხდება ოქმის ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტის (ვიდეო-ჩანაწერი, ფოტო ან სხვა) წარმოდგენა, მუნიციპალიტეტი ფასდება 1 ქულით.

<u>2.5.5. კრიტერიუმით</u> მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი საჯარო შეხვედრებზე მოსახლეობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების ჩამონათვალი საჯაროა და გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ფეისბუქგვერდზე და ასევე სხვა საშუალებებით (მედია, ტელევიზია, საინფორმაციო ფურცლები); ერთ-ერთი წყაროთი გამოქვეყნების შემთხვევაშიც კი მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ხოლო თუ არ არის გასაჯაროებული, მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება.

✓ აქტივობა 2.6. მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმები

2.6.1. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მერიის მიერ იდენტიფიცირებული არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული მოწყვლადი ჯგუფების სია, შესაბამისი ბაზა, ოქმი ან რაიმე ტიპის დოკუმენტი). შემფასებელმა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლისგან უნდა მიიღოს ინფორმაცია, ჰყავთ თუ არა იდენტიფიცირებული მათ მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფები და მიიღოს ამ ჯგუფების შესახებ ინფორმაცია პირადი მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით, კერძოდ, შეფასების პროცესში არ უნდა მოხდეს ამ ჯგუფების წარმომადგენლების პირადი ინფორმაციის გასაჯაროება (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და სხვა).

მერია 0 ქულით შეფასდება, თუკი არ ჰყავს იდენტიფიცირებული მოწყვლადი ჯგუფები.

2.6.2. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მერიის მიერ იდენტიფიცირებული არიან მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მუშაობენ და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (ბაზა), ხოლო 0 ქულით შეფასდება, თუკი მერიის მიერ არ არიან ასეთი ორგანიზაციები იდენტიფიცირებული.

2.6.3. კრიტერიუმი აფასებს, რამდენად აქვს მუნიციპალიტეტს შემუშავებული ამ ჯგუფებთან მუშაობის სტრატეგია.

მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მერიას არ აქვს პირდაპირი ვალდებულება მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმების ჰქონდეს დანერგილი. თუმცა, თუკი მუნიციპალიტეტის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირებას ახდენს, ეს არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

2.6.3. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და შემდგომ მათი საკითხების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მერიის მიერ შემუშავებულია ამ ჯგუფებთან / არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის სტრატეგია / სამოქმედო გეგმა ან რაიმე ტიპის სამუშაო აღწერილობა და განსაზღვრულია საჭიროებათა იდენტიფიცირების ფორმები.

იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტი ამ კრიტერიუმის მიხედვით დადებითად შეფასდეს, საჭიროა, მერიას გააჩნდეს ამ ფორმების დამადასტურებელი დოკუმენტი: სტრატეგია, სამოქმედო გეგმა ან სხვა რაიმე დოკუმენტი. შეფასების დროს წარმოდგენილი უნდა იყოს ეს დოკუმენტები.

მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება, თუკი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და შემდგომ მათი საკითხების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მერიის მიერ შემუშავებული არ არის ამ ჯგუფებთან / არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის სტრატეგია / სამოქმედო გეგმა ან რაიმე ტიპის სამუშაო აღწერილობა.

2.6.4. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება, თუკი მოწყვლადი ჯგუფები ინფორმირებული არიან მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით ჩასატარებელი აქტივობების შესახებ სხვადასხვა საშუალებებით და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (განცხადება, სურათი, ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალა და სხვა წყარო); თუ არ არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

2.6.5. კრიტერიუმით მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება თუკი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული აქვს სამუშაოები, გამოკითხვა ან სხვა სახის აქტივობები და არსებობოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები: შეხვედრის ოქმი, ფოტო და ვიდეო მასალა, საგაზეთო სტატია, მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია. ხოლი 1 ქულით ფასდება, თუკი მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ჩატარებული აქვთ მოწყვლად ჯგუფებთან სხვადასხვა სახის სამუშაოები, საუბრობენ ამ სამუშაოების შედეგად გამოკვეთილ საკითხებზე, თუმცა დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ შეუძლიათ. 0 ქულით ფასდება, თუკი მერიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ არ ჩაუტარებიათ სამუშაობი მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.

2.6.6. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მერიის მიერ მომზადებულია მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების ნუსხა და გამოქვეყნებულია მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო თუკი გამოქვეყნებული არ არის ფასდება 1 ქულით, ამ შემთხვევაში მერიამ შემფასებელს უნდა წარუდგინოს აღნიშნული ნუსხა. თუკი ნუსხის წარდგენა ვერ მოხდება, მუნიციპალიტეტი შეფასდება 0 ქულით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის მომზადებული მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების ნუსხა.

✓ აქტივობა 2.7. მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტის დანერგვა

მონაწილეობითი ბიუჯეტირება (Participatory Budgeting) ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათ საჭიროებებზე დაფუძნებული ბიუჯეტის შემუშავებას. მონაწილეობითი ბიუჯეტირების დროს მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მიერ ხდება ბიუჯეტში გარკვეული თანხის გამოყოფა მოქალაქეთა ინიციატივებისთვის. კერძოდ, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის პროცესი, რომელშიც დაინტერესებულ პირებს / მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, პროექტის სახით წარადგინონ საკუთარი იდეები და მოიპოვონ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა იმისთვის, რომ ბიუჯეტიდან სწორედ მათი პროექტი დაფინანსდეს. მუნიციპალიტეტის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტირების დანერგვა ნებაყოფლობითია, თუმცა მოქალაქეთა ჩართულობის კარგი პრაქტიკის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. ამდენად, აქტივობა 2.7 აფასებს, არის თუ არა მუნიციპალიტეტში დანერგილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკა და რამდენად არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ჩართულობა ამ პროცესში.

<u>2.7.1. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მუნიციპალიტეტში შექმნილია ინსტიტუციონალური მექანიზმები მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის (არსებობს საკრებულოს დადგენილება და შესაბამისი სამართლებრივი აქტები), დანერგილია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკა და გამოყოფილია შესაბამისი თანხა ადგილობრივ ბიუჯეტში. თუკი არ არის მუნიციპალიტეტში მონაწილეობითი ბიუჯეტი დანერგილი 0 ქულით შეფასდება.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.7.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.7. შეფასდება 0 ქულით.*

<u>2.7.2. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მერიის მიერ ჩატარებულია საინფორმაციო კამპანია მონაწილეობითი ბიუჯეტის დაწყების თაობაზე და მოსახლეობას 3-ზე მეტი არხის საშუალებით (მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, მერიის ფეისბუქგვერდი, საგაზეთო სტატიები, პლაკატები, ბროშურები, სატელევიზიო რეპორტაჟები, ვიდეო-რგოლები და სხვა) აქვს ინფორმაცია მიწოდებული იმის თაობაზე, თუ როდის იწყება პროცესი, ვის შეუძლია პროექტების წარდგენა, ვადები, როგორ ხდება პროექტების შერჩევა, ხმის მიცემის საკითხი და სხვა.

მუნიციპალიტეტი 2.7.2 კრიტირიუმის მიხედვით 2 ქულით შეფასდება, თუკი მოსახლეობა აღნიშნულ ინფორმაციას 2 წყაროთი იღებს, როგორიც არის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდით და კიდევ ერთი საშუალება: მერიის ფეისბუქგვერდი, საგაზეთო სტატიები, პლაკატები, ბროშურები, სატელევიზიო რეპორტაჟები, ვიდეო-რგოლები და სხვა). ხოლო 1 ქულით შეფასდება, თუ მხოლოდ 1 საშუალებით იქნება მოსახლეობა ინფორმირებული: მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი ან მერიის ოფიციალური Facebook გვერდი). მუნიციპალიტეტის მიერ უნდა მოხდეს შემფასებლისთვის ამ გამოქვეყნების დამადასტურებელი წყაროების წარდგენა.

ხოლო თუკი მერიის მიერ არ არის ჩატარებული საინფორმაციო კამპანია მონაწილეობითი ბიუჯეტის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობისათვის, ან არ არსებობს ამ ინფორმაციის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი, მუნიციპალიტეტი ფასდება 0 ქულით.

<u>2.7.3. კრიტერიუმის</u> მიხედვით ფასდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების მასშტაბი. მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მონაწილეობითი ბიუჯეტირება დანერგილია მთელ მუნიციპალიტეტში და ყველა ადმინისტრაციული ერთეულია ჩართული პროცესში, ხოლო თუ მხოლოდ რამენიმე ადმინისტრაციულ ერთეულშია დანერგილი 2 ქულით ფასდება, იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ 1 ადმინისტრაციულ ერთეულშია მონაწილეობით ბიუჯეტირება დანერგილი, მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება.

<u>2.7.4. კრიტერიუმი</u> აფასებს, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესში მერიის მიერ სრულად არის თუ არა დანერგილი მოქალაქეთა მიერ ინიციატივების წარდგენის ის მექანიზმი, რომელიც გაწერილია მონაწილეობითი ბიუჯეტირების თაობაზე მიღებული დოკუმენტების მიხედვით (საკრებულოს დადგენილებით და სხვა სამართლებრივი აქტებით). თუ პრაქტიკა შესაბამისობაშია სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მუნიციპალიტეტი 2.7.4 კრიტერიუმით 3 ქულით ფასდება, ხოლო თუ არ არის შესაბამისობაში, ფასდება 1 ქულით.

<u>2.7.5. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი პროექტებისთვის მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის სწორედ ის მექანიზმია სრულყოფილად დანერგილი, რომელიც გაწერილია მონაწილოებითი ბიუჯეტირების თაობაზე მიღებული დოკუმენტების მიხედვით (საკრებულოს დადგენილებით და სხვა სამართლებრივი აქტებით). ხოლო თუ პრაქტიკა განსხვავდება არსებული რეგულაციებისგან, ფასდება 1 ქულით.

<u>2.7.6. კრიტერიუმის</u> მიხედვით ფასდება, რამდენად არის უზრუნველყოფილი მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროცესის საჯაროობა. მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება, თუკი მერიის მიერ ორი საინფორმაციო საშუალებით (ოფიციალური ვებ-გვერდი და დამატებით ერთი სხვა წყარო: ფეისბუქგვერდი, საგაზეთო სტატია, სატელევიზიო სიუჟეტი, ბლოგი ან სხვა) უზრუნველყოფილია მონაწილეობითი

ბიუჯეტის პროცესისა და შედეგების თაობაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის:

- წარდგენილი პროექტების შესახებ;
- შერჩეული და დაწუნებული პროექტების თაობაზე;
- შერჩეული პროექტებისთვის მოსახლეობის მიერ ხმის მიცემის შედეგებისა და გამარჯვებული პროექტების თაობაზე;
- გამარჯვებული პროექტებისთვის საჭირო თანხის ბიუჯეტში ასახვის თაობაზე;

იმ შემთხვევაში კი, თუკი მერიის მიერ ორი საინფორმაციო საშუალებით (ოფიციალური ვებ-გვერდი და დამატებით ერთი სხვა წყარო: ფეისბუქგვერდი, საგაზეთო სტატია, სატელევიზიო სიუჟეტი, ბლოგი ან სხვა, სადაც შესაძლოა მითითებული იყოს ლინკი ოფიციალური ვებ-გვერდის) ხდება მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება მონაწილეობითი ბიუჯეტის 2 ეტაპის თაობაზე მაინც.

ხოლო 1 ქულით ფასდება, თუ მხოლოდ ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით ხდება მერიის მიერ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება მონაწილეობითი ბიუჯეტის ერთი ეტაპის თაობაზე მაინც.

თუ მერიის მიერ მონაწილეობითი ბიუჯეტის პროცესისა და შედეგების თაობაზე არ ხდება მოსახლეობის ინფორმირება, მუნიციპალიტეტი შეფასდება 0 ქულით.

✓ აქტივობა 2.8. მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

2.8.1. კრიტერიუმი აფასებს, შექმნილია თუ არა მუნიციპალიტეტში მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუ საბჭო შექმნილია, ხოლო თუ საბჭო არ არის შექმნილი 0 ქულით.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.8.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.8. შეფასდება 0 ქულით.*

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა, მერის მრჩეველთა საბჭო.

მუხლი 86 [1] თანახმად, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო არის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება

არანაკლებ 10 წევრით. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

2.8.2. კრიტერიუმით ფასდება, რამდენად არის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში ჩართული მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. 3 ქულით ფასდება, თუ მერის სამოქალქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, ხოლო თუ არ ხდება წარდგენა, ფასდება 0 ქულით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86[1] მუხლი თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული.

2.8.3. კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულით ფასდება, თუკი მერის მრჩეველთა საბჭოს მიერ მომზადებულია რეკომენდაციები ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (საბჭოს სხდომის ოქმი, რეკომენდაციის თაობაზე წერილი ან სხვა). თუკი საბჭოს მიერ არ ხდება რეკომენდაციის მომზადება და მერისთვის მოწოდება, 0 ქულით შეფასდება.

2.8.4. კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუკი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი გამოქვეყნებულია დროულად, სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში, როგორც კანონის მიხედვით არის განსაზღვრული. თუკი 10 დღის შემდეგ გამოქვეყნდება, შეფასდება 1 ქულით, ხოლო თუკი საერთოდ არ გამოქვეყნდება 0 ქულა დაიწერება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 861 მუხლი თანახმად, მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმით. ამასთან მუხლი 851. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ითვალისწინებს, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების შესაბამისად, გამოაქვეყნონ ან/და

საჯაროდ გამოაცხადონ: ბ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები, შესაბამისი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

2.8.5. კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტში და მერია წარმოადგენს ამის დამადასტურებელ დოკუმენტს (მრჩეველთა

საბჭოსთვის მერის ან შესაბამისი სამსახურის წერილობითი მიმართვა, ფინანსურ დოკუმენტებში (ბიუჯეტში, პრიორიტეტების დოკუმენტში, ბიუჯეტის განმარტებით ბარათში) ჩანაწერი ან სხვა. თუკი ასეთი ტიპის დოკუმენტის წარმოდგენა ვერ მოხდება მერიის მიერ, ფასდება 0 ქულით.

✓ აქტივობა 2.9. მოწყვლადი ჯგუფების მრჩეველთა საბჭო

2.9.1. კრიტერიუმი აფასებს, შექმნილია თუ არა მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ჯგუფების მრჩეველთა საბჭო. 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუ საბჭო შექმნილია, ხოლო თუ საბჭო არ არის შექმნილი 0 ქულით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში შესაძლოა შექმილი იყოს შშმ პირების მრჩეველთა საბჭო, ასევე სხვა ჯგუფებისთვის მრჩეველთა საბჭო, ან სამუშაო ჯგუფი. თუკი ერთი საბჭო ან სამუშაო ჯგუფი მაინც არის შექმნილი, რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის საკითხებზე მუშაობის მიზნით, მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება. ასეთი მრჩეველთა საბჭოების შექმნა არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.9.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.9. შეფასდება 0 ქულით.*

2.9.2. კრიტერიუმით ფასდება, რამდენად არის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში ჩართული მოწყვლადი ჯგუფის მრჩეველთა საბჭო/ სამუშაო ჯგუფი. 3 ქულით ფასდება, თუ ამ საბჭოს/ სამუშაო ჯგუფს მერიის მიერ განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტი და პრიორიტეტების დოკუმენტი, ხოლო თუ არ ხდება წარდგენა, ფასდება 0 ქულით.

2.9.3. კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულით ფასდება, თუკი მოწყვლადი ჯგუფის მრჩეველთა საბჭოს/სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია რეკომენდაციები ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე და არსებობს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი (საბჭოს სხდომის ოქმი, რეკომენდაციის თაობაზე წერილი ან სხვა). თუკი საბჭოს მიერ არ ხდება რეკომენდაციის მომზადება და მერისთვის მოწოდება, 0 ქულით შეფასდება.

2.9.4. კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუკი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე მოწყვლადი ჯგუფის მრჩეველთა საბჭოს / სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი გამოქვეყნებულია, ხოლო 0 ქულით ფასდება თუკი ოქმი არ არის გამოქვეყნებული.

2.9.5. კრიტერიუმის მიხედვით, 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე მოწყვლადი ჯგუფის მრჩეველთა საბჭოს /სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტსა

და პრიორიტეტების დოკუმენტში და მერია წარმოადგენს ამის დამადასტურებელ დოკუმენტს (საბჭოსთვის მერის ან შესაბამისი სამსახურის წერილობითი მიმართვა, ფინანსურ დოკუმენტებში (ბიუჯეტში, პრიორიტეტების დოკუმენტში, ბიუჯეტის განმარტებით ბარათში) ჩანაწერი ან სხვა. თუკი ასეთი ტიპის დოკუმენტის წარმოდგენა ვერ მოხდება მერიის მიერ, ფასდება 0 ქულით.

✓ აქტივობა 2.10. საბიუჯეტო პრიორიტეტების მიხედვით თემატური საჯარო განხილვების ჩატარება

2.10.1. კრიტერიუმი აფასებს, მუნიციპალიტეტში დანერგილია თუ არა პრაქტიკა, როცა ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოში წარდგენამდე დაინტერესებული პირებისთვის ტარდება თემატური საჯარო განხილვები (2 და მეტი შეხვედრა) პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით:

- ინფრასტრუქტურა;
- გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული საქმეები;
- სოციალური და ჯანდაცვა

3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუკი ასეთი თემატური განხილვები ტარდება, ხოლო თუ ასეთი პრაქტიკა არ არსებობს, მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება. აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, მერიის მიერ ასეთი განხილვების ორგანიზების მოთხოვნა არ არსებობს, თუმცა თუკი მუნიციპალიტეტში დაინერგება ეს მიდგომა, კარგი პრაქტიკის მაგალითი იქნება. თემატური საჯარო განხილვების ჩატარება გულისხმობს შეხვედრების ციკლს, სადაც დაინტერესებულ პირებს მერიის შესაბამისი სამსახურები გააცნობენ მათი მიმართულებით ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილ აქტივობებს.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „2.10.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 2.10. შეფასდება 0 ქულით.*

2.10.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტის 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის საკრებულოში წარდგენამდე თემატური საჯარო განხილვების ჩატარების თაობაზე უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ინფორმირება შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე. მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ან სხვა დარგობრივი სამსახურის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: განცხადება ვებ-გვერდზე, ფოტო და ვიდეო მასალა, ან სხვა დოკუმენტი. 0 ქულით ფასდება, თუკი მოსახლეობის ინფორმირების დამადასტურებელი რაიმე საბუთი განცხადება ვებ-გვერდზე, საგაზეთო განცხადება ან

სხვა არ არსებობს. თუკი დოკუმენტის თანახმად ვერ ხდება პერიოდის იდენტიფიცირება, მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, 1 ქულით კი იმ შემთხვევაში ფასდება, თუკი არსებობს წყარო, სადაც პერიოდი მითითებულია და 1 დღით ადრეა გავრცელებული შეხვედრის თაობაზე ინფორმაცია.

2.10.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მერიის მიერ ბიუჯეტის პრიორიტეტების მიხედვით თემატური საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების 3 და მეტი ფორმაა გამოყენებული (ოფიციალური ვებ-გვერდი, ფეისბუქგვერდი, რადიო, გაზეთი, ადგილობრივი ტელევიზია, ინტერნეტ-საშუალებები, განცხადებები). მერიის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: განცხადება ვებ-გვერდზე, საგაზეთო განცხადება ან სხვა. თუკი ინფორმაციის გავრცელებისთვის მხოლოდ 2 საინფორმაციო წყაროა გამოყენებული, ფასდება 2 ქულით, ხოლო 1 ქულით შეფასდება, თუ მხოლოდ ერთი წყაროა გამოყენებული.

2.10.4. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი თემატური საჯარო განხილვის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ჩართულობა და აზრის გამოთქმისა და კითხვის დასმის საშუალება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით (შესაძლებელია კითხვის დასმა სატელეფონო ან ონლაინ გზავნილის გამოყენებით). შემფასებელმა შეიძლება შეფასება გააკეთოს თავად თემატურ საჯარო განხილვაზე დასწრების დროს (მონაწილეობდეს საჯარო განხილვის პროცესში), ან მერიამ უნდა წარმოადგინოს საჯარო განხილვის ჩატარების დროს ამ ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა. თუკი აზრის გამოთქმის საშუალება მხოლოდ 1 ფორმით არსებობს 1 ქულით ფასდება. თუ ვერ მოხდება ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის, ან შემფასებელი თავად პროცესში ჩართულობის მიხედვით ნახავს, რომ არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ჩართულობა, მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

2.10.5. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი თემატური საჯარო განხილვების დროს გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე მომზადებულია ოქმები და შესაბამისი სამსახურების მიერ მომზადებულია რეკომენდაციები ბიუჯეტში ასახვის თაობაზე. 2 ქულით ფასდება, თემატური საჯარო განხილვების დროს გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე მომზადებული არ არის ოქმი, თუმცა ჩანიშნულია მოქალაქეთა წინადადებები და შესაბამისი სამსახურების მიერ მომზადებული რეკომენდაციები ბიუჯეტში ასახვის თაობაზე. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა, ან შესაბამისმა სამსახურმა უნდა უზრუნველყოს შემფასებლისთვის ასეთი დოკუმენტის წარდგენა. 1 ქულით ფასდება, თუკი გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე მომზადებულია ოქმი, თუმცა სამსახურების მიერ არ არის მომზადებული რეკომენდაციები ბიუჯეტში ასახვის თაობაზე, ხოლო 0 ქულით ფასდება, მოქალაქეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე მომზადებული არ არის ოქმი და არც

შესაბამისი სამსახურების მიერ არ არის მომზადებული რეკომენდაციები ბიუჯეტში ასახვის თაობაზე.

მიმართულება 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში განხილვა და დამტკიცება

✓ აქტივობა 3.1. ბიუჯეტის პროექტის საჯარო გამოქვეყნება

3.1.1. კრიტერიუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუ ბიუჯეტის პროექტი საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებულია.მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა შეფასების დროს უნდა წარმოადგინოს გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი: ვებ-გვერდი, ფოტო-მასალა მუნიციპალიტეტის შენობაში სტენდზე განავსების თაობაზე და სხვა.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „3.1.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 3.1. შეფასდება 0 ქულით.*

3.1.2. კრიტერიუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულო 3 ქულით შეფასდება, თუკი მერიის მიერ საკრებულოში ბიუჯეტის პროექტიდან 5 დღის ვადაში დოკუმენტი გამოქვეყნდება საჯარო განხილვისთვის.

საბიუჯეტო კოდექსი მუხლი 78-ის პირველი პუნქტის მიხედვით: ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისთვის.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა შეფასების დროს უნდა წარმოადგინოს გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი: ვებ-გვერდზე განთავსების დრო, ფოტო-მასალა მუნიციპალიტეტის შენობაში სტენდზე გათნავსების თაობაზე და სხვა.

3.1.3. კრიტერიუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო 3 ქულით შეფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტი საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებულია სხვადასხვა არხების საშუალებით - მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ფეისბუქგვერდი, გაზეთი, საკრებულოს შენობაში და სხვა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა შეფასების დროს უნდა წარმოადგინოს ის წყაროები, სადაც გამოქვეყნდა დოკუმენტი.

თუკი მხოლოდ ოფიციალურ ვებ-გვერდზეა გამოქვეყნებული, ფასდება 1 ქულით.

3.1.4. კრიტერიუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნებულია სრული სახით და ახლავს ყველა დანართი: ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათი; მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე

მიმოხილვა; ინფორმაცია სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ; პროგრამული ბიუჯეტის დანართი და კაპიტალური ბიუჯეტი.

ბიუჯეტის პროექტი გამოქვეყნებულია სრულად ნიშნავს, რომ იმ სტრუქტურის მიხედვით არის გამოქვეყნებული, როგორც საკრებულოში იქნა მერიის მიერ წარდგენილი.

თუ 2 დანართი მაინც არის გამოქვეყნებული ფასდება 2 ქულით, ხოლო თუ ბიუჯეტის პროექტს არ ახლავს დანართები, მაშინ მუნიციპალიტეტი ფასდება 1 ქულით.

<u>3.1.5. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტით 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს ან მერიის მიერ უზრუნველყოფილია მოსახლეობის ინფორმირება ბიუჯეტის პროექტის საჯარო სივრცეში გამოქვეყნების თაობაზე; ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოყენებულია 3 საინფორმაციო არხი: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე თვალისაჩინო ადგილზე არის განცხადება, რომ ბიუჯეტის პროექტს შეუძლიათ გაეცნონ, საკრებულოს ან მერიის ოფიციალურ Facebook გვერდზეა ასეთი ინფორმაცია, მოსახლეობას ინფორმაცია გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, განცხადებების დაფაზე განთავსდა ინფორმაცია, სად შეუძლიათ გაეცნონ ბიუჯეტის პროექტს, მედიით მოხდა განცხადების განთავსება.

მუნიციპალიტეტმა შეფასების დროს უნდა წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი (საკრებულომ ან მერიამ), იქნება ეს ფოტო-მასალა, ლინკი თუ სხვა. 2 ქულით ფასდება, თუკი 2 წყარო მაინც არის ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოყენებული, ხოლო 1 ქულით როცა 1 წყაროა მხოლოდ გამოყენებული.

თუკი საინფორმაციო სახის განცხადება არ არის გამოქვეყნებული არც ერთი წყაროს საშუალებით და მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ბიუჯეტის პროექტის საჯარო სივრცეში გამოქვეყნების თაობაზე, ფასდება 0 ქულით.

✓ აქტივობა 3.2. მოქალაქის გზამკვლევი

<u>3.2.1. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით მომზადებულია მოქალაქის გზამკვლევი.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „3.2.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 3.2. შეფასდება 0 ქულით.*

3.2.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მოქალაქის გზამკვლევში მოცემულია სრულყოფილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ მოქალაქისთვის გასაგებ ენაზე და ახსნილია ძირითადი საბიუჯეტო ტერმინები, ხოლო თუ გზამკვლევში მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა მოცემული და და არ არის დეტალური ინფორმაცია ბიუჯეტის პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ მუნიციპალიტეტი 1 ქულით შეფასდება.

3.2.3. კრიტერიუმი მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდზე და ასევე სხვადასხვა საშუალებებში - ფეისბუქგვერდი, გაზეთი, ან სხვა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ხოლო თუ ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ არის გამოქვეყნებული, თუმცა სხვა პლატფორმებზეა ხელმისაწვდომი, ამ შემთხვევაში 1 ქულით შეფასდება. თუკი მომზადებულია მოქალაქის გზამკვლევი, მაგრამ არ არის გამოქვეყნებული 0 ქულით ფასდება.

3.2.4. კრიტერიუმი აფასებს, რამდენად არის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ შემუშავებულია მოქალაქის გზამკვლევი ბიუჯეტის თაობაზე და აქვს თუ არა ინფორმაცია, სად არის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებული.

მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობა ინფორმირებულია მოქალაქის გზამკვლევის გამოქვეყნების თაობაზე, კერძოდ, ინფორმაცია გავრცელებულია საინფორმაციო არხით: საკრებულოს ან მერიის ოფიციალურ Facebook გვერდზე, მოსახლეობას ინფორმაცია გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ინფო განთავსდება სოფლებში არსებულ განცხადების დაფებზე, მედიით გამოცხადდაა ან სხვა საშუალებით და მითითებულია ლინკი, სადაც შეუძლიათ გზამკვლევის გაცნობა.

შეფასების დროს წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტი, რითაც დასტურდება მოქალაქის გზამკვლევის გამოქვეყნების თაობაზე მოქალაქეთა ინფორმირებას.

თუკი მოსახლეობა ინფორმირებული არ არის მოქალაქის გზამკვლევის გამოქვეყნების თაობაზე და ან ვერ მოხდება შესაბამისი რაიმე დოკუმენტის წარმოდგნა, 3.2.4. კრიტერიუმში მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება.

3.2.5. კრიტერიუმი აფასებს, არსებობს თუ არა ბიუჯეტისა და პრიორტეტების დოკუმენტის თაობაზე ადაპტირებული ვერსია (ვიდეო-რგოლი ტიტრებით, აუდიო ჩანაწერი ან სხვა) სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის (უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის), ასევე ეთნიკური უმცირესობების ენაზე (იმ მუნიციპალიტეტებისთვის, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობები). თუკი ბიუჯეტის თაობაზე ადაპირებული ვერსია არსებობს, მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, ხოლო თუკი არ არსებობს

ადაპიტირებული ვერსიები 0 ქულით. ხოლო იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ, თუკი ბიუჯეტისა და პრიორტეტების დოკუმენტის თაობაზე ადაპტირებული ვერსია მომზადებულია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის (უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის), ხოლო არ არის ეთნიკური უმცირესობების ენაზე, მუნიციპალიტტი შეფასდება მხოლოდ 1 ქულით.

✓ აქტივობა 3.3. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ორგანიზება

3.3.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტის 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვისთვის მოქალაქეთა ინფორმირება უზრუნველყოფილია. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: განცხადება, ფოტო და ვიდეო მასალა, ან სხვა დოკუმენტი. 0 ქულით ფასდება, თუკი მოსახლეობის ინფორმირების დამადასტურებელი რაიმე საბუთი განცხადება ვებ-გვერდზე, საგაზეთო განცხადება ან სხვა არ არსებობს.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „3.3.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 3.3. შეფასდება 0 ქულით.*

3.3.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება უზრუნველყოფილია შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: განცხადება ვებ-გვერდზე, საგაზეთო განცხადება ან სხვა.

3.3.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების სხვადასხვა ფორმაა გამოყენებული (რადიო, გაზეთი, ადგილობრივი ტელევიზია, ინტერნეტ-საშუალებები, განცხადებები). საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: განცხადება ვებ-გვერდზე, საგაზეთო განცხადება ან სხვა.

3.3.4. კრიტერიუმის მიხედით 3 ქულით ფასდება თუკი ბიუჯეტის საჯარო განხილვის ჩატარების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების მიზნით გავრცელებული განცხადებაში მითითებულია შეხვედრის ჩატარების მიზანი, ადგილი, დრო და სხვა. თუკი მხოლოდ შეხვედრის ჩატარების ადგილი და ზუსტი დროა მითითებული და არ არის შეხვედრის მიზანი, ფასდება 1 ქულით. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: განცხადება ვებ-გვერდზე, საგაზეთო განცხადება ან სხვა.

✓ **აქტივობა 3.4. ბიუჯეტის საჯარო განხილვა**

3.4.1. კრიტერიუმის მიხედვით 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუკი ჩატარებულია საჯარო განხილვა. ბიუჯეტის საჯარო განხილვის ჩატარების ფორმატი არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული, საბიუჯეტო კოდექსის 78 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. ამასთან, საკრებულოს რეგლამენტით შესაძლოა გაწერილი იყოს ბიუჯეტის საჯარო განხილვის ჩატარების ფორმა და წესი. შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს საკრებულოს რეგლამენტი. საკრებულოს აპარატმა უნდა წარმოადგინოს საჯარო განხილვის ჩატარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „3.4.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 3.1. შეფასდება 0 ქულით.*

3.4.2. კრიტერიუმის მიხედვით 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუკი ჩატარებულია ბიუჯეტის საჯარო განხილვა 25 ნოემბრამდე. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული პერიოდი, როდის უნდა ჩატარდეს ბიუჯეტის საჯარო განხილვა, თუმცა საბიუჯეტო კოდექსის 78 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საკრებულო ვალდებულია, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს. ამდენად, მნიშვნელოვანია და კარგი პრაქტიკის მაგალითი იქნება, თუკი საკრებულოს 25 ნოემბრამდე ჩაატარებს საჯარო განხილვას, რათა თავის რეკომენდაციებში ასახოს მოქალაქეების შენიშვნებიც. საკრებულოს აპარატმა უნდა წარმოადგინოს საჯარო განხილვის ჩატარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა.

2 ქულით შეფასდება, თუკი ბიუჯეტის საჯარო განხილვა 10 დეკემბრამდე მაინც ჩატარდება, კოდექსის 78 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს. ამ დროისთვის თუ იქნება საჯარო განხილვა ჩატარებული, მერიას აქვს შესაძლებლობა ასახოს მოქალაქეების რეკომენდაციები ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში. 1 ქულით ფასდება იმ შემთხვევაში, ბიუჯეტის საჯარო განხილვა 10 დეკემბრის შემდეგ ჩატარდება.

3.4.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი საჯარო განხილვის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ჩართულობა და აზრის გამოთქმისა და კითხვის დასმის საშუალება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით (შესაძლებელია კითხვის დასმა სატელეფონო ან ონლაინ გზავნილის გამოყენებით). შემფასებელმა შეიძლება შეფასება გააკეთოს თავად საჯარო განხილვაზე დასწრების დროს (მონაწილეობდეს საჯარო განხილვის პროცესში), ან საკრებულო/მერიამ უნდა წარმოადგინოს საჯარო განხილვის ჩატარების დროს ამ ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა. თუკი აზრის გამოთქმის საშუალება მხოლოდ 1 ფორმით არსებობს 1 ქულით ფასდება. თუ ვერ მოხდება ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის, ან შემფასებელი თავად პროცესში ჩართულობის მიხედვით ნახავს, რომ არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ჩართულობა, მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

3.4.4. კრიტერიუმის მიხედვით 3 ქულით ფასდება მუნიციპალიტეტი, თუკი ჩატარებულია ბიუჯეტის საჯარო განხილვა მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, რამდენი საჯარო განხილვა უნდა ჩატარდეს, თუმცა მოსახლეობისთვის საჯარო განხილვაზე დასწრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ტარდებოდეს საჯარო განხილვა. ეს მუნიციპალიტეტის კარგ პრაქტიკას მიუთითებს. 3 ქულით შეფასდება, თუკი საკრებულოს აპარატი შემფასებელს წარუდგინოს საჯარო განხილვის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტს: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა.

3.4.5. კრიტერიუმის მიხედვით 3 ქულით შეფასდება მუნიციპალიტეტი თუკი უზრუნველყოფილია ბიუჯეტის საჯარო განხილვის პირდაპირი ტრანსლირება ონლაინ საშუალებით - LIVE ჩართვა მუნიციპალიტეტის მიერ. 3 ქულით შეფასდება, თუკი საკრებულოს აპარატი შემფასებელს წარუდგენოს საჯარო განხილვის LIVE ტრანსლირების დამადასტურებელ დოკუმენტს: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა, ან თავად შემფასებელი მოიპოვებს ამ დოკუმენტს.

3.4.6. კრიტერიუმის მიხედვით 3 ქულით შეფასდება მუნიციპალიტეტი თუკი უზრუნველყოფილია ბიუჯეტის საჯარო განხილვის დროს გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე მომზადებულია ოქმი და წარდგენილია მერიაში განსახილველად. 1 ქულით ფასდება, თუკი მომზადებული არ არის ოქმი და თუმცა ჩანიშნულია წინადადებები და მიწოდებულია შესაბამისი სამსახურებისთვის. საკრებულოს აპარატმა უნდა უზრუნველყოს შემფასებლისთვის ასეთი დოკუმენტის წარდგენა.

- ✓ **აქტივობა 3.5. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტზე შენიშვნების მომზადება**

3.5.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტის 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს მიერ მომზადებულია შენიშვნები მერიის მიერ მომზადებულ ბიუჯეტის პროექტზე და წარდგენილია მერისთვის. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი: საკრებულოს შენიშვნები და მერის სახელზე გაგზავნილი ოფიციალური წერილი. 0 ქულით ფასდება, თუკი არ იქნება ეს დოკუმენტი წარმოდგენილი.

შენიშვნა: *თუკი კრიტერიუმი „3.5.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 3.5. შეფასდება 0 ქულით.*

3.5.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი საკრებულოს მიერ ბიუჯეტის პროექტზე მომზადებული შენიშვნები წარდგენილია 25 ნოემბრამდე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს.

მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება, თუკი 25 ნოემბრის შემდეგ მოხდება შემიშვნების მერისთვის წარდგენა. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საკრებულოს მიერ მერისთვის შენიშვნების 25 ნოემბრისთვის გადაგზავნის საკითხი.

3.5.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს მიერ მომზადებული შენიშვნების პროექტი გამოქვეყნებულია საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან სხვა საშუალებით და ასევე გამოთხოვის შემთხვევაში ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. კანონით ამ დოკუმენტის გამოქვეყნების ვალდებულება არ არსებობს, თუმცა კარგი პრაქტიკისა და გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია საკრებულოს შენიშვნები საჯაროდ იყოს გამოქვეყნებული.

შემფასებლის მიერ საკრებულოს აპარატთან უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის გადამოწმება, ასევე თუკი არ იქნება გამოქვეყნებული შენიშვნები, შემფასებელმა უნდა გამოითხოვოს საკრებულოს აპარატიდან ეს ინფორმაცია და 1 ქულით შეაფასოს, თუკი მოხდება კანონით დადგენილ ვადებში დოკუმენტის მიწოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი 0 ქულით შეფასდება.

3.5.4. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს მიერ მომზადებული შენიშვნების წერილში აღნიშნულია, რომ მომზადებულია მოქალაქეთა საჭიროების გათვალისწინებით და ახლავს ინფორმაცია, რა ფორმით და რა დროს მოხდა მოქალაქეების საჭიროებების იდენტიფიცირება. საკრებულოს აპარატის მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. თუკი შენიშვნებში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა საჭიროების მიხედვით მოხდა რეკომენდაციების მომზადება, მაგრამ არის მოცემული ინფორმაცია, რა ფორმით და რა

დროს მოხდა მოქალაქეების საჭიროებების იდენტიფიცირება, ფასდება 1 ქულით. თუკი საერთოდ არ არის შენიშვნებში აქცენტი მოქალაქეთა საჭიროებებისა და ამ საკითხების იდენტიფიკაციის ფორმებზე, ფასდება 0 ქულით.

კანონით ამ დოკუმენტში ასეთი ჩანაწერის ვალდებულება არ არსებობს, თუმცა კარგი პრაქტიკისა და გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია შენიშვნები გამყარებული იყოს მოქალაქეთა ჩართულობის შედეგად გამოვლენილი საკითხებით.

✓ აქტივობა 3.6. საკრებულოს კომისიებში ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოქალაქეთა მონაწილეობა

<u>3.6.1. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე საკრებულოს კომისიებში ჩატარების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია 2-ზე მეტი საინფორმაციო არხით: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, საკრებულოს ან მერიის ოფიციალურ Facebook გვერდი, მოსახლეობას ინფორმაცია გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ინფორმაცია განთავსდა დასახლებულ პუნქტებში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, მედიით გავრცელდა განცხადება ან სხვა. შემფასებელს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარუდგინოს საკრებულოს აპარატმა, ან შემფასებელმა თავად მიადევნოს თვალი საკრებულოს მიერ ინფორმაციის გავრცელებას. თუკი 2 საშუალებით მაინც არის ინფორმაცია გავრცელებული, მუნიციპალიტეტი ფასდება 2 ქულით, ხოლო 1 საშუალებით გამოქვეყნების შემთხვევაში - 1 ქულით, თუკი საერთოდ ვერ მოხდება წყაროს მოძიება, რომელიც ინფორმაციის გავრცელებას ადასტურებს, ფასდება 0 ქულით.

<u>3.6.2. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი უზრუნველყოფილია ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს კომისიებში განხილვის დროს მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება, თუკი არ არის უზრუნველყოფილი მონაწილეობა საკრებულოს კომისიებში. აღნიშნული შეფასება შემფასებლის მიერ ხდება ადგილზე დაკვირვებით, ან საკრებულოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე, კერძოდ, კომისიების სხდომის ოქმებით.

აღნიშნული რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით:

მუხლი 87: მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა
1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს.
3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.

- ✓ **აქტივობა 3.7. საკრებულოს სხდომაზე ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მოქალაქეთა მონაწილეობა**

<u>3.7.1. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის პროექტის განხილვის თაობაზე საკრებულოს სხდომის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია 2-ზე მეტი საინფორმაციო არხით: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, საკრებულოს ან მერიის ოფიციალურ Facebook გვერდი, მოსახლეობას ინფორმაცია გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ინფორმაცია განთავსდა დასახლებულ პუნქტებში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, მედიით გავრცელდა განცხადება ან სხვა. შემფასებელს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარუდგინოს საკრებულოს აპარატმა, ან შემფასებელმა თავად მიადევნოს თვალი საკრებულოს მიერ ინფორმაციის გავრცელებას. თუკი 2 საშუალებით მაინც არის ინფორმაცია გავრცელებული, მუნიციპალიტეტი ფასდება 2 ქულით, ხოლო 1 საშუალებით გამოქვეყნების შემთხვევაში - 1 ქულით, თუკი საერთოდ ვერ მოხდება წყაროს მოძიება, რომელიც ინფორმაციის გავრცელებას ადასტურებს, ფასდება 0 ქულით.

<u>3.7.2. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი უზრუნველყოფილია ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა კანონმდებლობის შესაბამისად.

აღნიშნული რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით: **მუხლი 87: მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა.**

აღნიშნული მუხლი დეტალურად არის მოცემული 3.6.2. კრიტერიუმის აღწერაში.

მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება, თუკი არ არის უზრუნველყოფილი მონაწილეობა საკრებულოს სხდომაზე. აღნიშნული შეფასება შემფასებლის მიერ ხდება ადგილზე დაკვირვებით, ან საკრებულოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე, კერძოდ, საკრებულოს სხდომის ოქმებით.

✓ აქტივობა 3.8. ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვერსიაში მოქალაქეთა წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება

3.8.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მერის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის საბოლოო ვერსიაში გათვალისწინებულია მოქალაქეთა მიერ ბიუჯეტის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ გამოთქმული წინადადებები და რეკომენდაციები და არსებობს შესაბამისი ჩანაწერი განმარტებით ბარათში, ან თავად ბიუჯეტის ან პრიორიტეტების დოკუმენტში. შემფასებელს თუკი მერიის საფინანსო სამსახური დაუდასტურებს, რომ გათვალისწინებულია მოქალაქეთა რეკომენდაციები, უნდა მოითხოვოს შესაბამის დოკუმენტებში ამის დამადასტურებელი ჩანაწერის ჩვენება. შემფასებელი უნდა გაეცნოს მოქალაქეთა შენიშვნა/რეკომენდაციების (წერილებს, ოქმს ან სხვა) სრული ჩამონათვალს და შესაბამის დოკუმენტებში გადაამოწმოს იასახა თუ არა საბიუჯეტო დოკუმენტებში. თუკი ვერ მოხდება ვერც მოქალაქეთა რეკომენდაციების წარმოდგენა და ვერც ბიუჯეტში მათი ასახვის დამადასტურებელი ჩანაწერი, მუნიციპალიტეტი ფასდება 0 ქულით.

✓ აქტივობა 3.9. ბიუჯეტის დამტკიცება

3.9.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი საბიუჯეტო წლის დადგომამდე საკრებულოს მიერ დამტკიცდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ხოლო თუკი საბიუჯეტო წლის დაწყების შემდეგ დამტკიცდა ბიუჯეტი 1 ქულით ფასდება.

თვითმმართველობის კოდექსი: მუხლი 91
პუნქტი 3: მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ
პუნქტი 8: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების ერთი მეთორმეტედისა. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ამ კანონით დადგენილი

წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას.

<u>3.9.2. კრიტერიუმის</u> მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუ დამტკიცებული ბიუჯეტი გამოქვეყნებულია matsne.gov.ge-ზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მუნიციპალიტეტისთვის matsne.gov.ge-ზე გამოქვეყნება სავალდებულოა. ამიტომ 3 ქულით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება, თუ არის გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო თუ მხოლოდ matsne.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ფასდება 1 ქულით.

თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: წლიური ბიუჯეტი ქვეყნდება და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 28-ის თანახმად:

1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.

2. საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესითა და პირობებით.

მიმართულება 4. ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება

მეოთხე ბლოკი აფასებს, რამდენად არის უზრუნველყოფილი **ბიუჯეტის შესრულების პროცესში გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა.**

✓ აქტივობა 4.1. დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა

4.1.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება, თუკი დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანამდე ინფორმაცია გამოქვეყნებულია საჯაროდ. კანონით არ არის ვალდებულება ცვლილებების პროექტი გამოაქვეყნოს, თვითმმართველობის კოდექსის თანახმად: 851 მუხლი: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განსაზღვრავს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლის გამოქვეყნებაც სავალდებულოა, მათ შორის არის ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტში ცვლილებების პროექტის გამოქვეყნება არის კარგი პრაქტიკა და ამიტომ მნიშნველოვანია ამ კრიტერიუმით მუნიციპალიტეტის შეფასება. თუკი დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანამდე ინფორმაცია გამოქვეყნებული არ არის საჯაროდ, მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით

მუხლი 80. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა
1. წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა, გარდა კოდექსის 69–ე მუხლით დადგენილი წესისა, საჭიროებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანას.
2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია მხოლოდ მერის წარდგინებით.

4.1.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვის შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია 2-ზე მეტი საინფორმაციო არხით: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, საკრებულოს ან მერიის ოფიციალურ Facebook გვერდი, მოსახლეობას ინფორმაცია გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ინფორმაცია განთავსდა დასახლებულ პუნქტებში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, მედიით გავრცელდა განცხადება ან სხვა. შემფასებელს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარუდგინოს საკრებულოს აპარატმა, ან შემფასებელმა თავად მიადევნოს თვალი საკრებულოს მიერ ინფორმაციის გავრცელებას. თუკი 2 საშუალებით მაინც არის ინფორმაცია გავრცელებული, მუნიციპალიტეტი

ფასდება 2 ქულით, ხოლო 1 საშუალებით გამოქვეყნების შემთხვევაში 1 ქულით, თუკი საერთოდ ვერ მოხდება წყაროს მოძიება, რომელიც ინფორმაციის გავრცელებას ადასტურებს, ფასდება 0 ქულით.

4.1.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე კომისიებსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა. შეფასება შემფასებლის მიერ ხდება ადგილზე დაკვირვებით, ან საკრებულოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე, კერძოდ, საკრებულოს კომისიებისა და სხდომის ოქმებით. ამ კრიტერიუმით შეფასების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული ის საკითხები, **რომელიც 3.6 და 3.7 აქტივობებისთვის** არის წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება, თუკი დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე ან კომისიებში ან მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობა, ხოლო 0 ქულით თუ არც კომისიებზე და არც საკრებულოს სხდომაზე არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა მონაწილეობა.

4.1.4. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი დაზუსტებული ბიუჯეტი გამოქვეყნებულია martse.gov.ge-ზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მუნიციპალიტეტისთვის matsne.gov.ge-ზე გამოქვეყნება სავალდებულოა. ამიტომ 3 ქულით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეფასდება, თუ არის გამოქვეყნებული მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო თუ მხოლოდ matsne.gov.ge-ზე გამოქვეყნებული ფასდება 1 ქულით.

✓ აქტივობა 4.2. ბიუჯეტის კვარტალური შესრულება

4.2.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მომზადებულია ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები (3 ანგარიში) და წარდგენილია საკრებულოში კანონით განსაზღვრულ ვადაში.

საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 85: ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

თუკი 3 ანგარიში არ არის მომზადებული და კანონით განსაზღვრულ ვადებში წარდგენილი საკრებულოში, მუნიციპალიტეტი ფასდება 0 ქულით.

4.2.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები (3 ანგარიში) გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. თუ მხოლოდ 2 ანგარიშია გამოქვეყნებული, ფასდება 2 ქულით, ხოლო 1 ანგარიშის შემთხვევაში 1 ქულით. კანონმდებლობით კვარტალური ანგარიშების გამოქვეყნების ვალდებულება არ არის, თუმცა საჯაროობა არის კარგი პრაქტიკის მაგალითი.

4.2.3. კრიტერიუმი მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მოქალაქის მიერ ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშის გამოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილია მისი კანონით განსაზღვრულ ვადებში მიწოდება. მუნიციპალიტეტის ამ კრიტერიუმით შეფასებისთვის საჭიროა, რომ შემფასებელმა გამოითხოვოს აღნიშნული ანგარიშები მერიიდან ან საკრებულოდან. თუკი აღნიშნული დოკუმენტების კანონით განსაზღვრულ ვადების დარღვევით მოხდება, მუნიციპალიტეტი შეფასდება 1 ქულით, ხოლო თუ მოთხოვნილი დოკუმენტი საერთოდ არ იქნება მიწოდებული შეფასდება 0 ქულით.

ინფორმაციის საჯაროობის საკანონმდებლო საფუძველი:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 37-ის 1-ელი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.
მუხლი 40-ის 1-ელი პუნქტის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.
მუხლი 40-ის მე-2 პუნქტის მიხედვით, თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10 დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.
მე-3 პუნქტის თანახმად კი, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს საჯარო დაწესებულებას იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მისი დადგენილი წესით გაცემის ვალდებულებისგან.

✓ **აქტივობა 4.3. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში**

4.3.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი ფასდება 3 ქულით, თუკი მომზადებულია ბიუჯეტის წლიური ანგარიში, თუკი არ არის ანგარიში მომზადებული (ვერ მოხდა მოძიება) შეფასების ქულა იქნება 0.

საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 86. მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს.

4.3.2. კრიტერიუმის მიხედვით ფასდება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანაგარიშის საკრებულოში წარდგენისა და განხილვის დროულობა. ფასდება 3 ქულით, თუკი ბიუჯეტის წლიური ანგარიში საკრებულოში წარდგენილია დროულად (საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის მიხედვით, მერიის საფინანსო ორგანო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს) და საკრებულოს მიერ მისი განხილვა და ანგარიშის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა კანონის ვადის დაცვით (საბიუჯეტო კოდდესის მუხლი 88. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არაუგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.)

1 ქულით ფასდება თუკი დარღვეულია ერთ-ერთი ვადა: ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საკრებულოში წარდგენის ვადა ან გადაწყვეტილების მიღების ვადა.

თუკი ორივე ვადა დარღვეულია, კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტს 0 ქულით შეფასდება.

4.3.3. კრიტერიუმის მიხედვით ფასდება ბიუჯეტის წლიური ანგარიშის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნების დროულობა. თუკი შესრულების ანგარიში საკრებულოში წარდგენიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდება, 4.3.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით შეფასდება, ხოლო თუკი ვადის დარღვევით - 1 ქულით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85[1] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან საჯაროდ გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია. ამ ქვეპუნქტის თანახმად, საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს.

4.3.4. კრიტერიუმის მიხედვით ფასდება ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის სისრულე. თუკი ბიუჯეტის წლიური ანგარიში მომზადებულია კანონის მოთხოვნების სრული დაცვით, ფასდება 3 ქულით.

საბიუჯეტო კოდექსის 87 მუხლის მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:
ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით; ბ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან; გ) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის; დ) პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს; ე) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ; ვ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს; ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს.

თუკი წლიური შესრულების ანგარიშში მომზადებული არ არის კანონის მოთხოვნების შესაბამისად, 1 ქულით ფასდება.

4.3.5. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია გავრცელებულია 2-ზე მეტი საინფორმაციო არხით: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი, საკრებულოს ან მერიის ოფიციალურ Facebook გვერდი, მოსახლეობას ინფორმაცია გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ინფორმაცია განთავსდა დასახლებულ პუნქტებში არსებულ საინფორმაციო დაფაზე, მედიით გავრცელდა განცხადება ან სხვა. შემფასებელს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარუდგინოს საკრებულოს აპარატმა, ან შემფასებელმა თავად მიადევნოს თვალი საკრებულოს მიერ ინფორმაციის გავრცელებას. თუკი 2 საშუალებით მაინც არის ინფორმაცია გავრცელებული, მუნიციპალიტეტი ფასდება 2 ქულით, ხოლო 1 საშუალებით გამოქვეყნების შემთხვევაში - 1 ქულით, თუკი საერთოდ ვერ მოხდება წყაროს მოძიება, რომელიც ინფორმაციის გავრცელებას ადასტურებს, ფასდება 0 ქულით.

გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს საკრებულოს ის კომისია (კომისიები), რომელსაც გადაეცა ანგარიში განსახილველად, კომისიაში ანგარიშის განხილვის ვადები, კომისიის (კომისიათა) ადგილსამყოფელი და სხდომების გრაფიკი, ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე გატანის დრო, საკრებულოს აპარატის მისამართი, სადაც შეიძლება წარდგენილი იქნეს მოსაზრებები ანგარიშთან დაკავშირებით, მოსაზრებების წარდგენის ვადა.

4.3.6. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა დასწრება და მონაწილეობა. შეფასება შემფასებლის მიერ ხდება ადგილზე დაკვირვებით, ან საკრებულოს მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე, კერძოდ, საკრებულოს კომისიებისა და სხდომის ოქმებით. ამ კრიტერიუმით შეფასების დროს უნდა იქნას გათვალისწინებული ის საკითხები, რომელიც 3.6 და 3.7 აქტივობებისთვის არის წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტი 1 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობა, ხოლო 0 ქულით თუ არც კომისიებზე და არც საკრებულოს სხდომაზე არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა მონაწილეობა.

4.3.7. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი გამოქვეყნებულია ბიუჯეტის წლიური ანგარიში მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მუხლი 851-ის მუხედვით მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით. საანგარიშო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის მისი წარდგენიდან 10 დღის ვადაში.

4.3.8. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და საკრებულოს ფრაქციების დასკვნები ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან სხვა საშუალებებით. თუკი არ არის გამოქვეყნებული, ფასდება 0 ქულით. შემფასებელს საკრებულოს აპარატმა უნდა წარუდგინოს გამოქვეყნების დამადასტურებელი დოკუმენტი.

4.3.9. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე ტარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა: გამოკითხვა, საჯარო დისკუსია, დასახლების საერთო კრება ან სხვა. თუკი არ ჩატარებულა აზრის კვლევა, აღნიშნულ კრიტერიუმში მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

✓ აქტივობა 4.4. მერის მიერ მოქალაქეთათვის ანგარიშის ჩაბარება

4.4.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებულია წლიური ანგარიში.

შენიშვნა: *თუკი მუნიციპალიტეტის მერის წლიური ანგარიში არ არის მომზადებული, კრიტერიუმი „4.4.1. არსებობა“ შეფასდება 0 ქულით, აღნიშნული აქტივობის სხვა კრიტერიუმების შეფასება აღარ მოხდება და აქტივობა 4.4. შეფასდება 0 ქულით.*

4.4.2. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ინფორმიერება მერის მიერ წლიური ანგარიშის ჩატარების თაობაზე 3 და მეტი საინფორმაციო საშუალებით: მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, მერიის ოფიციალურ Facebook გვერდი, მოკლე ტექსტური შეტყობინება, განცხადებების დაფა, მედიით განცხადება და სხვა. მუნიციპალიტეტმა შეფასების დროს უნდა წარმოადგინოს ამის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი, იქნება ეს ფოტო-მასალა, ლინკი თუ სხვა. 2 ქულით ფასდება, თუკი 2 წყარო მაინც არის ინფორმაციის გავრცელებისთვის გამოყენებული, ხოლო 1 ქულით როცა 1 წყაროა მხოლოდ გამოყენებული.

თუკი საინფორმაციო სახის განცხადება არ არის გამოქვეყნებული არც ერთი წყაროს საშუალებით და მოსახლეობას არ აქვს ინფორმაცია ბიუჯეტის პროექტის საჯარო სივრცეში გამოქვეყნების თაობაზე, ფასდება 0 ქულით.

4.4.3. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მერის მიერ მოსახლეობისთვის წლიური ანგარიშის ჩაბარება მოხდა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ ვადაში, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ხოლოდ თუ ანგარიშის ჩაბარება მოხდა 1 ნოემბრის შემდეგ ფასდება 1 ქულით.

4.4.4. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მერის წლიური ანგარიშის წარმოდგენის დროს უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ჩართულობა და აზრის გამოთქმისა და კითხვის დასმის საშუალება როგორც ზეპირი, ისე წერილობითი სახით, სატელეფონო გზავნილისა და ონლაინ ფორმით. შემფასებელმა შეიძლება შეფასება გააკეთოს თავად საჯარო განხილვაზე დასწრების დროს (მონაწილეობდეს საჯარო განხილვის პროცესში), ან მერიამ უნდა წარმოადგინოს საჯარო განხილვის ჩატარების დროს ამ ჩართულობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი: ოქმი, ფოტო და ვიდეო-მასალა, საგაზეთო სტატია ან სხვა. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის დროს მერი ვალდებულია უპასუხოს ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

თუკი აზრის გამოთქმის საშუალება 2 ფორმით არსებობს, მუნიციპალიტეტი 2 ქულით ფასდება, ხოლო 1 ფორმის შემთხვევაში 1 ქულით. თუ ვერ მოხდება ამ პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის, ან შემფასებელი თავად პროცესში ჩართულობის მიხედვით ნახავს, რომ არ არის უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ჩართულობა, მუნიციპალიტეტი 0 ქულით ფასდება.

4.4.5. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუ მერის წლიური ანგარიში გამოქვეყნებულია მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ხოლო 0 ქულით ფასდება, თუ მერის წლიური ანგარიში არ არის გამოქვეყნებული.

- ✓ **აქტივობა 4.5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ბიუჯეტის თაობაზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაზე რეაგირება**

4.5.1. კრიტერიუმის მიხედვით მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ხდება სახელმწიფო აუდიტის დასკვნაზე რეაგირება. კერძოდ, თუკი ბოლო 3 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ჩატარებული სახელმწიფო აუდიტის დასკვნის თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოში უზრუნველყოფილია აუდიტის დასკვნისა და მომზადებული რეკომენდაციების თაობაზე სრული დოკუმენტის განხილვა, ამასთან განხილვაზე მოწვეული არიან ყველა იმ სამსახურების/მერიის უწყებების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც უარყოფითად იყო შეფასებული დასკვნაში. იმ შემთხვევაში თუ საკრებულომ მხოლოდ ნაწილობრივი განიხილა დასკვნა და იმსჯელა რამდენიმე საკითხე და მოუსმინა შესაბამის უწყებებს, შეფასდება 2 ქულით, ხოლო თუ შესაბამისი სამსახურების მოწვევა არ მოხდა და ისე იმსჯელა საკრებულომ რამდენიმე თემაზე, ფასდება 1 ქულით. თუკი საკრებულოს მხრიდან აუდიტის უარყოფით დასკვნას არ მოჰყვა რეაგირება და არ მოხდა განხილვა, მუნიციპალიტეტი ფასდება 0 ქულით. ამ კრიტიერუმით შეფასებისთვის საკრებულოს აპარატმა უნდა წარმოადგინოს სხდომის ოქმი.

4.5.2 კრიტერიუმის მიხედვით, მუნიციპალიტეტი 3 ქულით ფასდება, თუკი სახელმწიფო აუდიტის დასკვნის განხილვის დროს საკრებულოს სხდომაზე უზრუნველყოფილია მოქალაქეთა მონაწილეობა კანონის შესაბამისად. ამ კრიტიერუმით შეფასებისთვის საკრებულოს აპარატმა უნდა წარმოადგინოს სხდომის ოქმი. თუკი შემფასებელი კვლევის პროცესში (პირადი ჩართულობის დროს) აღმოაჩენს, რომ კანონის მოთხოვნა არ იქნა დაცული, მუნიციპალიტეტი შეფასდება 0 ქულით. თუკი სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ სხდომას არ ესწრებოდნენ მოქალაქეები, მუნიციპალიტეტი შეფასდება 3 ქულით.

მუხლი 87: მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა
1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის, აგრეთვე მთავრობის სხდომები საჯაროა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი. თუ სხდომაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა აღემატება მათთვის სხდომათა დარბაზში გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი ვალდებულია უზრუნველყოს მის ხელთ არსებული იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენება, რომლებიც სხდომაზე დასწრების მსურველებს სხდომის მსვლელობის მოსმენის საშუალებას მისცემს.
4. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებზე დამსწრე პირებს უფლება აქვთ, წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით დაუსვან შეკითხვები მომხსენებელს და თანამომხსენებელს, გააკეთონ განმარტება და განცხადება, წარადგინონ ინფორმაცია.

საბიუჯეტო პროცესის სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:

- **მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი;**
- **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი**
- **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა**

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტსა და წლიურ ბიუჯეტზე მუშაობის წესი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებები, ბიუჯეტის ფორმირების წყაროები და საფინანსო ვალდებულებები განსაზღვრულია სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით:

- საერთაშორისო აქტები:
  - თვითმმართველობის ევროპული ქარტია (საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2004 წელს);
- კანონები:
  - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
  - საბიუჯეტო კოდექსი
- დადგენილებება:
- საკრებულოს რეგლამენტი
- მერიისა და სამსახურების დებულებები

- ბრძანება:

- ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის თაობაზე“
- მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყების თაობაზე.

❖ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე. კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია:

- გასული წლის ბიუჯეტის ანგარიშის შესახებ
- მიმდინარე წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ;
- *დასაგეგმი წლის* მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე.
- *დასაგეგმის შემდგომი სამი წელი* მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე.

პრიორიტეტების დოკუმენტი სამი თავისგან შედგება.
I თავი - ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ;
II თავი - ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები;
III თავი - მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა *(გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა)* და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობას.
მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის.
15 ნოემბერს საკრებულოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტთან და წლიურ ბიუჯეტთან ერთად შემდეგი დოკუმენტები წარედგინება:

- ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);

ადგილობრივ დონეზე საბიუჯეტო პროცესი იწყება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადებით, კერძოდ, მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე, 1 მარტიდან იწყება.
ქვემოთ მოცემულია გრაფიკი, სადაც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტში არსებული საბიუჯეტო ციკლი.



ბიუჯეტირების პროცესი 3 ძირითად ეტაპს მოიცავს და სამივე ფაზაში მოქალაქის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია.

- ბიუჯეტის პროექტის მომზადება (1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე)
- ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება (15 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე)
- ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება (საბიუჯეტო წლის დაწყებიდან (1 იანვრიდან)
- ბიუჯეტის საბოლოო შესრულების ანგარიშის დამტკიცებამდე (საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ 4 თვეში, მომდევნო საბიუჯეტო წლის 1 მაისამდე);

ბიუჯეტირების პროცესი 3 ეტაპზე მოქალაქის ჩართულობა სხვადასხვა მექანიზების საშუალებით არის შესაძლებელი. პირველ რიგში, კი უმნიშვნელოვანესია, დაინტერესებულ პირებს გააჩნდეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო

პროცესის შესახებ და იმის შესახებ, თუ რა ფორმით შეუძლიათ ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მონაწილეობა.
ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საბიუჯეტო კოდექსით ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული.



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

	პერიოდი	საბიუჯეტო აქტივობა
ბიუჯეტის მომზადება	1 მარტს	პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყება
	მარტი	მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა
	15 ივლისი	დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების მიწოდება ფინანსთა სამინისტროს მიერ
	15 ივლისიდან	საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად.
	15 აგვისტომდე	სამუშაო ჯგუფი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი
	არაუგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალური სამსახურები ამზადებელ მომავალი წლისთვის მათი სამსახურის აქტივობების შესაბამისად ბიუჯეტს და განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში
	არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს

	არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს და გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება	არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	რი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს და პრიორიტეტების დოკუმენტს
	20 ნოემბრისთვის	ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში შეტანიდან 5 დღეში ბიუჯეტის პროექტის ქვეყნდება საჯარო განხილვისთვის
	არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს
	არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	მერი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო)
	31 დეკემბრამდე	ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების თაობაზე. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების

		შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით
ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება	ყოველ თვის 10 რიცხვისთვის (თებერვალ, მარტი, აპრილი ...)	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2018 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	30 აპრილი; 31 ივლისი, 31 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2018 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	1 მარტი	საფინანსო სამსახური საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა ამზადებს წლის ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს საკრებულოს
	1 მაისი	საკრებულო არა უგვიანეს 1 მაისისა საჯაროდ იხილავს ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ